

გამბედაობა

ახალგაზრდა ქალების
ამბები ბავშვობის ასაკში
და იძულებითი ქორწინების
შესახებ



ეს პუბლიკაცია გვიამბობს სხვადასხვა თაობის შვიდი ახალგაზრდა ქალის ისტორიას, რომლებმაც ბავშვობის ან ზრდასრულ ასაკში ქორწინების იძულება გამოიარეს. ზოგმა მაშინვე შეძლო, თავი დაეღწია არასასურველი ქორწინებისთვის, ზოგმა კი ეს რამდენიმე წლის შემდეგ მოახერხა. მათ ოჯახში ძალადობაც განიცადეს, დღეს კი თითოეულმა მათგანმა თავისუფლება მოიპოვა. წიგნი ეძღვნება ყველას, ვინც გაბედავს და გადამწყვეტს, რომ ძალადობაზე ილაპარაკოს.

ამ ამბების გაზიარებით გვინდა შევახსენოთ ადამიანებს, რომ გოგობსა და ქალებს აქვთ ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრებისა და თავისუფალი არჩევანის უფლება. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ იმ ადამიანთა ამბების მოყოლით, რომლებმაც შეძლეს და ხმა აიმაღლეს თავიანთი უფლებების დასაცავად და საბოლოოდ მოახერხეს თავისუფლების მოპოვება, გავამხნევოთ ყველა ახალგაზრდა ქალი, რომელიც დღესაც დგას ამ პრობლემის წინაშე.

თუ ხართ ძალადობის მსხვერპლი, იცოდეთ, რომ თქვენ არ ხართ მარტო. საქართველოში არსებული მხარდაჭერის სამუალებების შესახებ იხილეთ პუბლიკაციის ბოლო გვერდი.

Contents

- 4 მადლობა
- 5 წინასიტყვაობა
- 7 ავტორის წინასიტყვაობა
- 9 თამის ამბავი
- 17 ამარილისის ამბავი
- 22 ნარილატას ამბავი
- 35 კამელიას ამბავი
- 39 კალათეას ამბავი
- 47 კესანეს ამბავი
- 51 ჩინარას ამბავი
- 56 ავტორის შესახებ
- 61 ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები

მადლობა

Equality Now და გოგა ხატიაშვილი მადლობას ვუხდით ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულ ცენტრსა და მის ხელმძღვანელს - ინდირა რობაქიძეს, რომელიც ისტორიების მოძიებასა და მათ შეკრებაში დაგვეხმარა. მადლობას ვუხდით, ასევე, გამომცემლობა „ნიგნები ბათუმის“ დამფუძნებელს, მარიამ კორინთელს, პუბლიკაციის უსასყიდლოდ რედაქტირებისთვის.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლობა ყველა იმ ქალსა და გოგოს, რომლებმაც გულახდილად ისაუბრეს თავიანთი ცხოვრების შესახებ და საზოგადოებას დიდი ხნის დაგროვილი სათქმელი და ემოცია გაუზიარეს. ამ გამბედავი ქალების მიმართ მადლიერებას გამოვხატავთ მათი გამოცდილების გაზიარებით და რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა სხვა ქალები და გოგოები არ გახდნენ მსგავსი არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლნი.

ნიგნში მოხსენიებული ყველა სახელი შეცვლილია, თამამ (თამი) აბულოვასა და ჩინარა კოჯაევას გარდა, რომლებმაც გადანყვიტეს, რომ მათი ამბავი საზოგადოებისთვის დაუფარავად მიეწოდებინათ.

Design: Pete's Studio

რედაქტორი: მარიამ კორინთელი

წინასიტყვაობა

ქალებს, რომლებიც ასე დეტალურად და გაბედულად საუბრობენ ძალადობის თაობაზე, ხშირად არ მიიჩნევენ საკუთარი მიზნების ან სურვილების მქონე ადამიანებად. უფრო სწორად, ასეთი მისწრაფებებსა და სურვილებს არ უჭერს მხარს საზოგადოება, რომელიც მათ მკაცრ გენდერულ როლებს ანიჭებს, ძალაუფლებას ართმევს და დამრღვევებს, ძირითადად, დაუსჯელად ტოვებს. ამ ამბების მეშვეობით ვხედავთ განგრძობადი და განმეორებადი ძალადობის მაგალითებს: ნაადრევი და იძულებითი ქორწინება, მოტაცება, განათლების ხელმისაწვდომობის დაკარგვა, სექსუალური ძალადობა და ოჯახში ძალადობა, მოძალადეზე დამოკიდებულება და მნიშვნელოვნად შეზღუდული არჩევანი.

ეს ისტორიები გამონაკლისი შემთხვევებია. ახალგაზრდა ქალებმა მიიღეს მხარდაჭერა, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა, თავი დაეღწიათ მოძალადე კაცებისგან და ეპოვათ უსაფრთხოება. სხვადასხვა სახის მხარდაჭერას ზოგჯერ იღებდნენ ოჯახის წევრების მხრიდანაც, მაგრამ უფრო ხშირად - სამართალდამცავი ორგანოების, ზოგჯერ მასწავლებლებისა და საზოგადოების წევრების მხრიდან. უმრავლესობამ ასევე მოიპოვა უსაფრთხოება ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, რაც მათ რეაბილიტაციასა და უკეთესი მომავლის მშენებლობაში დაეხმარა.

ახალგაზრდა ქალები მიგვითითებენ მომავალში შემდეგი ნაბიჯების გადადგმის საჭიროებაზე:

- სკოლებსა და საზოგადოებაში, ადრეულ ეტაპზე, დაინერგოს ბავშვების (მომავალი საზოგადოების წევრების) განათლება ყველა ადამიანის თანასწორობის შესახებ;



- გადამზადდნენ მასწავლებლები, სამედიცინო პერსონალი და ძალადობის გამოვლენაზე პასუხისმგებელი სხვა პირები, რათა მათ შეძლონ ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევების ამოცნობა და სათანადო ზომების მიღება, მათ შორის, მსხვერპლთა გადამისამართება შესაბამის უწყებებში;
- გადამზადდნენ პოლიციელები, პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები და სოციალური მუშაკები, რათა სათანადო გულისხმიერებითა და სერიოზულობით მოეკიდონ მსხვერპლთა დაცვას, მათ მიმართ სენსიტიური მიდგომების გათვალისწინებით;
- გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს კანონის აღსრულების ინსტრუმენტები ქალებისა და გოგოების ძალადობისგან დასაცავად - მათ შორის ადრეული და იძულებითი ქორწინების, მოტაცების, სექსუალური ძალადობის, ოჯახში ძალადობის თაობაზე (მათ შორის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, იძულება და უგულვებელყოფა);
- მოხდეს პრევენციული და მხარდაჭერის სისტემების გაძლიერება, მათ შორისაა გრძელვადიანი მხარდაჭერის სერვისები იძულებითი ქორწინების, სექსუალური ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგოებისთვის.

ჯეკი ჰანტი, Equality Now-ს ევროპისა და ევრაზიის ოფისის დირექტორი

ავტორის წინასიტყვაობა

ბავშვობის ასაკში ქორწინება ხდება ყველა კონტინენტზე, გარდა ანტარქტიდისა, ყველა კულტურასა და რელიგიაში. UNFPA-ს თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით, 18 წლამდე ასაკის ყოველი ხუთი გოგოდან ერთი იმყოფება ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობაში.

ბავშვობის ასაკში ქორწინების ძირეული მიზეზი გენდერული უთანასწორობა და პარტრიარქალური ღირებულებებია, რასაც ხელს უწყობს რწმენა იმის თაობაზე, რომ გოგოებსა და ბიჭებს არ აქვთ თანაბარი შესაძლებლობები.

დაქორწინების შემდეგ, გოგოების და ქალების დიდი ნაწილი ფინანსურად დამოკიდებული ხდება ქმარზე. ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო აადვილებს ქალზე ოჯახში ძალადობას. შესაბამისად, ბავშვობის ასაკში ქორწინება არის ქალებისა და გოგოების უფლებების დარღვევა.

საქართველოს კანონმდებლობით 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების რეგისტრაცია დაუშვებელია, ამიტომ ბავშვთან ქორწინება მათთან ფაქტობრივი თანაცხოვრების დაწყებით ხდება, რაც პირთა არარეგისტრირებულ კავშირზე მიუთითებს.

ყოველწლიურად ბავშვობის ასაკში ქორწინების ასზე მეტი შემთხვევის შესახებ ვიცობთ. საზოგადოებისთვის მათი ისტორიის სრული დეტალები უცნობია, რადგან შემთხვევის მხოლოდ იურიდიული ნიუანსები საჯაროვდება. გოგოებსა და ქალებს არ აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ თავიანთ ბავშვობაზე, ემოციებზე, მათ ნაცვლად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და იმ სირთულეებზე, რასაც ისინი აწყდებიან ძალადობისგან თავის დაღწევის პროცესში. ამიტომ, აღნიშნული პუბლიკაცია არის პლატფორმა ამ ისტორიების მოსაყოლად.

ასეთ საქმეებზე მუშაობისას გავაცნობიერე, რომ მსხვერპლი ყოველდღე გადის რთულ და მძიმე გზას. შენც ვალდებული ხარ



მასთან ერთად ეს გზა გაიარო. ყოველი ახალი საქმის დაწყებისას ან ახალი მსხვერპლის გამოჩენისას ამ გზის გავლას ხელახლა იწყებ.

წიგნში შეხვდებით სხვადასხვა თაობის რამდენიმე ახალგაზრდა ქალის ისტორიას, რომლებიც ბრძოლის, გამბედაობის, გადარჩენისა და სიმამაცის სიმბოლოდ იქცნენ. მათ გადანწყვიტეს, რომ აღარ იყვნენ უხილავი ქალები და თავიანთი ცხოვრების მოსაყოლად ალაპარაკდნენ. დიდი გამბედაობა და სიძლიერეა საჭირო, რათა საკუთარ თავში იპოვო ძალა, რომელიც ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან და თემთან დასაპირისპირებლად ბრძოლისუნარიანობას შეგმატებს.

ისტორიების შესაგროვებლად რამდენიმე დღე ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში გავატარე. წარმოსადგენად რთულია, თუ როგორი სახისა და ფორმის ძალადობა გამოსცადეს ამ ქალებმა, მაგრამ ისინი ერთ რამეს არასოდეს კარგავენ - ეს არის მომავლის იმედი და რწმენა.

ამ ისტორიების გამოქვეყნებით მიინდა ხმა მივანვძინო გოგოებსა და ქალებს მთელი საქართველოს მასშტაბით, რომლებიც შესაძლოა ბავშვობის ასაკში ქორწინებისა თუ ძალადობის პრობლემის წინაშე დგანან და გავაგებინო, რომ ისინი არ არიან მარტო და მათ აქვთ უფლებები. ბავშვობის ასაკში ქორწინება იკრძალება კანონით, რაც ზოგჯერ უკავშირდება დანაშაულს და არსებობენ ადამიანები და დაწესებულებები, რომლებსაც მათი დაცვა შეუძლიათ.



თამის ამბავი

თამამ (თამი) აბულოვა 2003 წელს რუსეთში დაიბადა.



სამი თვის იყო, როდესაც მშობლებმა საქართველოში ჩამოიყვანეს და თვითონ ისევ უკან დაბრუნდნენ. გოგო ბებია-პაპასთან იზრდებოდა. 4 წლის ასაკში მშობლებთან ერთად ისევ რუსეთში მოუწია წასვლა.

თამის ძალიან გაუჭირდა ბებია-პაპასგან შორს ყოფნა, რადგან მისთვის ეს ადამიანები მშობლებზე უფრო ახლობლები იყვნენ. 7 წლის რომ გახდა, ისევ საქართველოში დაბრუნდნენ და ქვემო ქართლში მდებარე ერთ-ერთ ქალაქში - დმანისში დასახლდნენ.

თამიმ ძალიან კარგად ისწავლა ქართული, რადგან ფიქრობს, რომ თუ საქართველოში ცხოვრობ, ქართული ენაც უნდა იცოდე. პატარაობიდანვე განათლების მიღებაზე ოცნებობდა. მისი თანატოლი ბევრი სხვა გოგოსგან განსხვავებით, რომლებსაც სხვა პრიორიტეტებით ზრდიან, იმ დღეს ელოდებოდა, როდესაც სტუდენტი გახდებოდა და მუშაობას დაიწყებდა.

მშობლები მხარს უჭერდნენ სწავლაში, თუმცა ბევრ საკითხში ზღუდავდნენ. გოგოს ბევრი რამ ეკრძალებოდა. მას აკლდა ადამიანის ერთ-ერთი და მთავარი ფასეულობა - დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

„გოგოს არ შეუძლია გარეთ მარტო გასვლა, მშობლებისგან დამოუკიდებლად. რატომ, რატომ არ შეუძლია?!“ - ამ კითხვას თამი საკუთარ თავს ხშირად უსვამდა. „ისიც [გოგოც] ხომ ადამიანია, მასაც ხომ აქვს უფლება, რომ გავიდეს? მაგრამ მე ამის უფლება არ მქონდა. მე არ მქონდა ექსკურსიებზე წასვლის უფლება. როდესაც ჩემი მეგობრები, კლასელები ემზადებოდნენ ექსკურსიაზე წასასვლელად, უხაროდათ, ლაპარაკობდნენ ამ ყველაფერზე, მე უკვე ვიცოდი მამაჩემის პასუხი. ვიცოდი,



რომ არ გამიშვებდა. ექსკურსიით შემედლო ბევრგან წავსულიყავი, ბევრი მნიშვნელოვანი ადგილი მენახა საქართველოში. ფულის პრობლემა არასოდეს ჰქონიათ, უბრალოდ მე არ მიშვებდნენ. ჩემი ძმა კი დადიოდა ექსკურსიებზე - მას უშვებდნენ, რატომ? იმიტომ, რომ ბიჭი იყო?! რახან მე გოგო ვიყავი, მე არაფრის უფლება არ მქონდა. ყოველთვის ვბრაზდებოდი ამაზე - რატომ არ შემიძლია მე ამ ყველაფრის გაკეთება, რასაც ჩემი ძმა აკეთებს? ხომ ერთი და იგივე ოჯახიდან ვართ? ხომ ერთი და იგივე მშობლები გვყავს?“ ეს ყველაფერი თამიზე ძალიან ცუდად მოქმედებდა.

თამის არ ჰქონდა სოციალური ქსელების გამოყენების უფლება. არ ჰქონდა ტელეფონი - გოგოებს ეს ყველაფერი ეკრძალებათ. ეს მათ მხარეში გავრცელებული პრაქტიკაა, რაც ქალებსა და გოგოებს სოციალური ურთიერთობების მიღმა ამყოფებს. მამასთან ეს აკრძალვები არასოდეს გაუპროტესტებია, რადგან იცოდა, რომ აზრი არ ჰქონდა. ტელეფონი მას შემდეგ უყიდა, როდესაც 16 წლისას მშობლებმა საქმრო შეურჩიეს და საჭიროდ ჩათვალეს, ბიჭთან კონტაქტი ჰქონოდა.

გოგო ხშირად საკუთარ თავსა და დედას ეკითხებოდა, რატომ არ ენდობოდნენ მშობლები? მშობლების ასეთ უნდობლობას თამი ძალიან განიცდიდა. მამის სიტყვებიც ახსოვს, რომელიც სულ იმეორებდა, რთულია გოგოს აღზრდაო.

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, თამი ბევრ კონკურსში მონაწილეობდა და კარგი შედეგებიც ჰქონდა. ერთხელ მხატვრული კითხვის კონკურსშიც გაიმარჯვა, თუმცა დაჯილდოება სხვა ქალაქში იყო, ამიტომ მშობლებმა არ გაუშვეს. სულ ფიქრობდა იმაზე, რომ მამა არსად უშვებდა და სტუდენტი რომ გახდებოდა, არც მაშინ მისცემდა დამოუკიდებლად ცხოვრების უფლებას. თამიმ კარგად იცოდა მამის დამოკიდებულება გოგოების მიმართ: ის სულ ამბობდა, ქალი უნდა „გათხოვდეს“ და მას ქმარმა უნდა მიხედოსო. თამის ეს შეზღუდვები და აკრძალვები მარწუხებივით უჭერდა, თუმცა ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა და სულ უფრო ცდილობდა, მეტი წარმატებისთვის მიეღწია.

თამის მიაჩნია, რომ მშობლების ამგვარი დამოკიდებულება შვილების მიმართ გოგოებისა და ქალების უფლებების შეზღუდვაა. მათ წრეში 16-17 წლის გოგოები მიაჩნიათ ჩამოუყალიბებელ ადამიანებად, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი აზრი. მშობლები ფიქრობენ, რომ მათი გადანყვებილებები შვილისთვისაც კარგი იქნება. ოჯახების უმეტესობა თავიანთი შვილების აზრს არ ითვალისწინებს - სოფელი რას იტყვის? ხალხი რას იტყვის? მხოლოდ ეს არის ოჯახის მთავარი საზრუნავი.

ჟურნალისტობა უნდოდა, თუმცა ამის თქმას ვერ ბედავდა. დედა სულ ეუბნებოდა, ისეთი პროფესია აირჩიე, რომ ქმარმა მუშაობის უფლება მოგცესო. ეს სამუშაო ისეთი უნდა ყოფილიყო, სადაც ქალს მხოლოდ ოფისში მოუწევდა საქმიანობა და მამაკაც თანამშრომლებთან ნაკლები შეხება ექნებოდა.

დედა ხშირად სთხოვდა ძმების მოვლას, საჭმლის მომზადებას - თამი, ჭურჭელი გარეცხე, თამი, სადილი მოამზადე, თამი, სახლი დაალაგე. ისიც ემორჩილებოდა დედის მითითებას მანამ, სანამ სკოლის გაკვეთილების მომზადებაში შეეშლებოდა ხელი. პროტესტის გამოხატვა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც სახლის საქმეების გამო სწავლას ვეღარ ახერხებდა. იმ დროიდან მოყოლებული, რაც გოგოს დაქორწინებაზე დაიწყო საუბარი, დედა ცდილობდა, რომ ბავშვს სწავლისთვის ნაკლები ყურადღება დაეთმო, ამიტომ, როდესაც შვილს სამეცადინოდ დაიგულვებდა, ამ დროს სპეციალურად საშინაო საქმეებს ავალვებდა. შვილთან მორიგი საუბრისას, როდესაც მან კვლავ უარი განაცხადა დაქორწინებაზე, მამა დაემუქრა, რომ წიგნებს გადაუყრიდა და კითხვასაც აუკრძალავდა.

გოგოს მშობლებისგან მხარდაჭერა არასოდეს უგრძნია. დედასთან არასოდეს ჰქონია მეგობრული დამოკიდებულება. მასთან იშვიათად ლაპარაკობდა რაიმე საკითხზე. „ქალად ყოფნა მარტო ის არ არის, რომ გათხოვდე და შვილები გყავდეს“ - თვლის თამი და მიაჩნია, რომ კარგი ქალი არის წარმატებული ქალი, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრობს. იგი ფიქრობს, რომ დედა უნდა იყოს თავისი შვილისთვის სამაგალითო ქალი. თამისთვის დედა არ ყოფილა სამაგალითო ქალი, ამიტომ ამბობს, რომ არასოდეს მოექცევა თავის შვილს ისე, როგორც მას დედა ექცეოდა.

მამის შიში და რიდი ჰქონდა. სადმე წასვლა თუ უნდოდა, პირდაპირ მამისთვის არასოდეს უთქვამს, რადგან ვერ ბედავდა. საერთო ენას ბებიასთან ნახულობდა. მას სთხოვდა ხოლმე დახმარებას. უფრო ახლოს იყო ბებია-პაპასთან, ვიდრე მშობლებთან - მათი მხარდაჭერის იმედი უფრო ჰქონდა.

მშობლების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, თამი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის წინაშე დადგებოდა. მამა სულ ამბობდა, რომ მისი გოგო ჯერ არ იყო მზად „გათხოვებისთვის“ და ყველა მთხოვნელს უარით ისტუმრებდა. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ გოგოს 16 წელი არ შეუსრულდა.

როდესაც გოგო 16 წლის გახდა და მისი „ხელის მთხოვნელთა“ რიცხვი გაიზარდა, მშობლებმა უკვე დაიწყეს შვილის დაქორწინებაზე საუბარი. მათ გოგოს საქმროც შეურჩიეს - ის მამის მეგობრის შვილი იყო, რომელსაც თამიც კარგად იცნობდა. გოგომ პატარაობიდანვე იცოდა, რომ ბიჭის მამას სურდა, თამი მათი რძალი გამხდარიყო. გოგოს მამა კი იძახდა, რომ მისი შვილისთვის დაქორწინება ჯერ ადრე იყო. მაგის დროც მოვა, ჩემი შვილი „გათხოვების“ ასაკში არ არისო - ყოველთვის ამ სიტყვებით იგერიებდა მამა გოგოზე დაქორწინების მსურველებს.

ბიჭისთვის საქორწინო ასაკი მაშინ დგება, როცა ეს მას უნდა, რადგან ის ბიჭია, ხოლო გოგოსთვის - მაშინ, როდესაც ამას მშობელი გადაწყვეტს.

გოგოს დაქორწინების ასაკად 16 წელი შეირჩა. წესი არც ამ შემთხვევაში დარღვეულა - გადაწყვეტილება მშობლებმა მიიღეს. სანათესაოში უკვე ყველა ურჩევდა თამის, რომ დანიშნულიყო.

დაქორწინება ბავშვის უახლოეს გეგმებში არ შედიოდა. არ უფიქრია ისეთ მომავალზე, რომელიც 16 წლის ასაკში ოჯახის შექმნას ითვალისწინებდა. გოგოს ცხოვრება სხვებმა იძულებით გადაწყვიტეს და დაგეგმეს.

„არას“ თქმას მხოლოდ დედას უბედავდა. „ჩემთვის გათხოვება, თან ამ ასაკში, არის საშინელება“ - ამბობდა თამი და თან დედას უხსნიდა, რომ არ უყვარდა ის ბიჭი, რომელზე დაქორწინებასაც აიძულებდნენ. დედა კი ეუბნებოდა, როცა მასთან ერთად იცხოვრებ, შეეჩვევი და შეგიყვარდები, თუმცა ბავშვი პასუხობდა, რომ ეს სიყვარული კი არა, იძულება იყო.

მშობლები გოგოზე ფიზიკურად არ ძალადობდნენ, თუმცა ფსიქოლოგიური წნეხი ძალიან ძლიერი იყო. განსაკუთრებული ზენოლა მამისგან მოდიოდა, რომელსაც ყველაზე მეტად სურდა შვილის დაქორწინება.

ერთ დღეს დედა სამსახურიდან ადრე დაბრუნდა. თამი მიხვდა ამის მიზეზს. მან შეიღწა უთხრა, რომ ნათესავები და ბიჭის ოჯახის წევრები მათთან მოსვლას აპირებდნენ.

გოგომ დედას სთხოვა, დაერეკა ბიჭის ნათესავებისთვის და ეთქვა, არ მოსულიყვნენ, თუმცა დედამ ეს თხოვნა არ გაითვალისწინა. სალამოს სტუმრები მოვიდნენ.

ნათესავები გოგოს სურვილების გასაგებად სათითაოდ შედიოდნენ მის ოთახში. თამისთან თხოვნით რომ ვერაფერი გააწყვეს, მუქარაზე გადავიდნენ. დედამ უთხრა, რომ თუ უარს იტყოდა დაქორწინებაზე, მამა სასწავლებლად აღარ გაუშვებდა. გოგო ამან უფრო შეაშინა, მაგრამ თანხმობა არც ამ შემთხვევაში უთქვამს, თუმცა დედას აუხსნა, რომ ამ ეტაპზე არ უნდოდა დაქორწინება და რამდენიმე წლის შემდეგ, თუ საქმრო დაელოდებოდა, თანახმა იყო, ამაზე ეფიქრა. გოგოს ნათქვამი მშობლებმა თანხმობად მიიღეს.

აჟიტირებულმა სტუმრებმა და ნათესავებმა მუსიკა ჩართეს და გართობა დაიწყეს. ის დღე გოგოსთვის უსაშველოდ გაიწელა. თითქოს არ მთავრდებოდა. საკუთარ ოთახში მჯდარ თამის სტუმრების ჟრიაბული და მუსიკა ესმოდა. მას კი ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა ეს ყველაფერი.

მეორე დღეს ბიჭის მშობლები მივიდნენ - ოჯახს საჩუქრები და ტკბილეული მიუტანეს. სტუმრებთან შესახვედრად თამი მამამ სკოლიდან ადრე გამოიყვანა.

ამის შემდეგ სოფელში უკვე ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რომ გოგო „გათხოვდა“. მათთვის დანიშნა ქორწინების ტოლფასი იყო, რადგან ნიშნობიდან ქორწინებამდე ერთი ნაბიჯი არის დარჩენილი. დანიშნული ქალი კი უკვე მამაკაცის მეუღლედ და საკუთრებად მიიჩნევა.

რამდენიმე თვეში გოგოს ბებია გარდაეცვალა, რაც მისთვის ძალიან დიდი ტრაგედია იყო. ბებიის გარდაცვალების შემდეგ მხიარული და ბედნიერი თამი შეიცვალა, თავს უფრო მარტოსულად გრძნობდა. არ ჭამდა, არ ლაპარაკობდა - ყოველთვის ცუდ ხასიათზე იყო. ბებია იყო მისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი, რომელსაც ენდობოდა, ამიტომ მისმა გარდაცვალებამ ბავშვის ემოციური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

ამ პერიოდში მის ქორწინებაზე საუბარი დროებით შეწყდა. საყვარელი ბებიის გარდაცვალებით მიღებული სტრესის გამო მამა თითქოს დაეთანხმა შვილის გადაწყვეტილებას - დაპირდა, რომ მისი სურვილის გარეშე არ „გათხოვებდა“, თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა. ამ დაპირებიდან ერთი კვირაც კი არ იყო გასული, რომ ოჯახმა კვლავ განაახლა გოგოს დაქორწინებაზე საუბარი. ზენოლა კიდევ უფრო მძიმე და ძლიერი აღმოჩნდა. მშობლებს მიაჩნდათ, რომ გოგო 16 წლის ასაკში უკვე მზად იყო ოჯახის შესაქმნელად. შესაძლოა,

ემინოდან კიდევ, მათი შვილი, დაქორწინების მიზნით, ვინმეს არ მოეტაცებინა, რაც საქართველოში და მათ მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილია.

ამის შემდეგ თამისთვის ყველაფერი გაუარესდა, ნელ-ნელა დაეწყო გაუცხოება საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ. „მარტო ღმერთმა იცის, რა დღეში ვიყავი ამ დროს. ყოველდღე ტირილი, ყოველდღე ნერვიულობა, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ერთი სურვილი მქონდა - სახლიდან წასვლა. ბებიაც დავკარგე და აღარ მყავდა იმ სახლში საყვარელი ადამიანი, ვისთან ერთადაც ბედნიერი ვიქნებოდი“, - ამგვარი ფიქრები თამის არ შორდებოდა და გამოსავლის პოვნას ცდილობდა.

ერთ დღეს, სანამ სკოლაში წავიდოდა, გოგომ შემთხვევით ნახა დედის ტელეფონში მისული შეტყობინება, სადაც ეწერა, რომ რამდენიმე დღეში ბიჭის ოჯახის წევრები აპირებდნენ მათთან მისვლას და ნიშნობის ბეჭდის მიტანას. დედაც თანხმობით პასუხობდა ამ შეტყობინებაზე და თან ეკითხებოდა, თუ რა ფერი უყვარდა საქმროს, რომ თამისთვის იმ ფერის კაბა ჩაცემიათ.

გოგოს მხოლოდ ერთი კვირა ჰქონდა დარჩენილი სამოქმედოდ.

მან თავისი ტელეფონით მისწერა ბიჭს, რომ არ უნდოდა მასზე დაქორწინება და არ მოსულიყვნენ. ბიჭმა თამის არ უპასუხა, თუმცა მიღებული შეტყობინება თამის მშობლებს აჩვენა, როლებმაც ეს ინფორმაცია გოგოს დედას გადასცეს.

სალამოს, როდესაც ბავშვი თავის ოთახში იყო და მეცადინეობდა, დედის ყვირილი გაიგონა - ის თამის ეძახდა. დედა გაშმაგებული უყვიროდა შვილს, როგორ გაბედე საქმროსთან შეტყობინების გაგზავნაო.

- ჩვენ ამ ხალხს შევპირდით და შენ აუცილებლად უნდა გაჰყვე მას ცოლად. სოფელში თავს არ შევირცხვენთ, რადგან სიტყვა უკვე მივეცი ოჯახს, - თქვა მამამ და გოგოს იმაზე უფრო კატეგორიულად მოეჩვენა მამის ეს ნათქვამი, ვიდრე სხვა დროს, როდესაც მშობლებისგან იგივე სიტყვები მოუსმენია.

თამი საბოლოოდ მიხვდა, რომ მისი ოჯახი რეპუტაციაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე შვილის კეთილდღეობაზე, რამაც თავი უსუსურად და მარტოდ აგრძნობინა. ხედავდა, როგორ კარგავდა ყველასა და ყველაფერს. ხედავდა, როგორ ბრუნდებოდა წარსულში. ხვდებოდა, მისი სურვილები იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არავის აინტერესებდა. მხოლოდ ოჯახის რეპუტაცია

და მეტი არაფერი. ხვდებოდა, რომ ოჯახის რეპუტაციისთვის უნდა შეეწირა პირადი ინტერესები და ცოლად გაჰყოლოდა ადამიანს, რომელთან სიახლოვეც კი დისკომფორტსა და უსიამოვნო შეგრძნებას ჰგვრიდა.

მამის ყვირილის დროს გოგო დროებით გაეთიშა სამყაროს, ხმას ვეღარ იღებდა. იჯდა და კანკალებდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაამთავრებდა მამა ჩხუბს, რომ თავის ოთახში დაბრუნებულიყო.

„მე უდანაშაულო ვარ, რა გავაკეთე, გარდა იმისა, რომ გათხოვებაზე უარი ვუთხარი?! - არაფერი“ - ფიქრობდა თამი მამის ყოველ საყვედურსა და კატეგორიულ მოთხოვნაზე. ალბათ, ამ დროს ბიჭად დაბადებაც უნატრია - მათ მშობლების რისხვა ნაკლებად ატყდებათ.

იმ ოჯახს, სადაც გოგო იბადება, მამამისიც უბედურად თვლიდა. რომელ ოჯახსაც გოგო არ ჰყავს, ბედნიერები არიანო - თამის მამისგან ხშირად გაუგონია ეს სიტყვები.

თამი უკვე მოქმედებაზე გადავიდა. მიხვდა, რომ ამ ყველაფრისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა სახლიდან წასვლა იყო. მან დასახმარებლად მასწავლებელსა და ნაცნობებს მიმართა, რომლებმაც ინფორმაცია სამართალდამცავებს მიანოდეს.

საქმეში პოლიცია ჩაერთო. პოლიციის თანამშრომლებმა გოგოს სკოლაში მიაკითხეს და წამოსვლა სთხოვეს. გამოძიება ქორწინების იძულების მუხლით დაიწყო. თამიმ პოლიციას ყველაფერი უამბო, რის შემდეგაც, სამართალდამცავების დახმარებით, თავისი ნივთები შეაგროვა და მისივე თანხმობით თამი თავშესაფარში წაიყვანეს. საქმის რამდენიმე თვიანი განხილვის შემდეგ მოსამართლემ დამნაშავედ სცნო გოგოს მამა შვილის მიმართ ქორწინების იძულების ფაქტზე.

სოფელში უცებ გავარდა ხმა თამის გადაწყვეტილების შესახებ. ბევრმა მოიწონა გოგოს საქციელი. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ლაპარაკობდნენ, გოგო ოჯახიდან არა - სსასწავლებლად, არამედ გართობისა და დროსტარებისთვის წავიდაო.

თამიმ იბრძოლა და არნახული გამბედაობის წყალობით ღირსება და თავისუფლება შეინარჩუნა. მან დაანახვა საზოგადოებას, რომ არ სჭირდება

„პატრონი“ და იგი არ არის ვინმეს საკუთრება.

გოგო დამოუკიდებელ ცხოვრებას ახლა სწავლობს. თავის გადარჩევილებას არ ნანობს. მომავალში სასურველი პროფესიის დაუფლებასაც გეგმავს. 17 წლის თამი კვლავ თავშესაფარში აგრძელებს ცხოვრებას. სკოლაში სწავლასთან ერთად მუშაობს და საქართველოს „ნიტელი ჯვრის საზოგადოებაში“ მოხალისედ არის ჩართული. როცა მზად იქნება და ამის სურვილი ექნება, დაქორწინებასაც აპირებს. უნდა, სოფლებში ჩავიდეს და ილაპარაკოს იმაზე, თუ როგორ დააღწია თავი იძულებით და არასასურველ ქორწინებას.

თამი ყველა ქალს ბრძოლისა და ლაპარაკისკენ მოუწოდებს. „თუ ჩემად იქნებიან, მათ შესახებ ვერავინ ვერაფერს გაიგებს“ - ამბობს გოგო და თავის თანატოლებს მიმართავს, რომ ხმა ამოიღონ და იბრძოლონ ბედნიერებისათვის.

ამარილის ამბავი

„პატარა ოჯახი მაქვს“ - ამბობს ამარილისი, რომელიც თავისი ამბის თხრობას ოჯახის წევრების ჩამოთვლით იწყებს. გოგოს მშობლები ზრდასრულ ასაკში დაქორწინდნენ. მათთვის მთავარი შვილების განათლება იყო, ამიტომ ამარილისსაც და მის უმცროსს ძმასაც ისე ზრდიდნენ, რომ ბავშვებს სწავლისთვის დიდი ყურადღება დაეთმო.

გოგოს პატარაობიდანვე სწავლის სიყვარულს უნერგავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მისთვის მნიშვნელოვანი კარგი განათლების მიღება იყო. მშობლები შვილებს არ ასხვავებდნენ და ერთნაირად ზრუნავდნენ ამარილისსა და მის ძმაზე.

„აქტიური ცხოვრება მქონდა“ - თვლის ამარილისი, რომელიც სკოლაში ერთ-ერთ წარმატებულ მოსწავლედ ითვლებოდა, ამიტომ მასწავლებლები ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ გოგოსთვის და სხვადასხვა პროექტებსა თუ ტრენინგებში ჩაერთოთ. მშობლებიც მხარს უჭერდნენ ამარილისს, რომ მისი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებში მიეღო მონაწილეობა.

ამარილისს ადრე ხშირად სმენია, რომ მის რეგიონში, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზეა, არასრულწლოვან გოგოებს „ათხოვებდნენ“, რაც ძირითადად მათი ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდა, თუმცა ბოლო პერიოდში ხედავდა, რომ გოგოები და მათი ოჯახები განათლების მიღებაზე ფიქრობდნენ და მათთვის სწავლა ნელ-ნელა პრიორიტეტად იქცა.

მიუხედავად ამისა, არასრულწლოვანი ამარილისის შესაძლო დაქორწინება მათ ოჯახშიც განხილულა. ინიციატივა, ძირითადად, დედას ეკუთვნოდა, თუმცა გოგოს მამა ყოველთვის ერეოდა საუბარში, რათა მეუღლისთვის გადაეფიქრებინა შვილის დაქორწინებაზე ზრუნვა. მშობლები ამის გამო ხშირად კამათობდნენ, რაც საბოლოოდ ორივე მათგანის შეთანხმებით სრულდებოდა, რომ შვილისთვის კარგი განათლება მიეცათ.



13 წლის ასაკში, როდესაც ამარილის მერვე კლასში იყო, მისი „ხელის მთხოვნელები“ გამოჩნდნენ, რომლებიც მოსალაპარაკებლად ბავშვის ოჯახში დადიოდნენ. მე ჩემი შვილის გარეშე ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას, მან ჯერ უნდა ისწავლოს და კარგი განათლება მიიღოს - ეს იყო მამის პასუხი გოგოზე დაქორწინების მსურველი ბიჭის ნათესავების მიმართ, რომელსაც ცოტა ბრანზარევი და დიპლომატიური ტონით ეტყოდა ხოლმე მასთან სახლში მისულ აბეზარ სტუმრებს. როდესაც სოფელში ხმა გავარდა გოგოს მამის მტკიცე პოზიციისა და მკაცრი ხასიათის შესახებ, უკვე ერიდებოდნენ მასთან სახლში მისვლას, თუმცა ცდილობდნენ, საერთო ენა და ინტერესები ბავშვის დედასთან გამოენახათ.

ამარილის 17 წლის იყო, როდესაც იმავე რაიონში მცხოვრები 21 წლის ბიჭი გაიცნო. მას გარკვეული სიმპათიები გაუჩნდა გოგოს მიმართ, თუმცა ამარილისმა უთხრა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი სწავლა და განათლების მიღება იყო, ამიტომ ჯერ არ ფიქრობდა სერიოზულ ურთიერთობაზე. რამდენჯერმე შეხვედრის შემდეგ ამარილისმა უთხრა, რომ აღარ სურდა მასთან ურთიერთობის გაგრძელება, რადგან მთელი დრო სწავლისთვის უნდა დაეთმო, თუმცა ბიჭი თავს მაინც არ ანებებდა. ის გოგოს შეტყობინებებს უგზავნიდა და ტელეფონზეც ურეკავდა, თუმცა ამარილისი უპასუხოდ ტოვებდა. ბიჭმა რამდენჯერმე ისიც კი მისწერა, რომ თუ ცოლად გაყოლაზე არ დათანხმდებოდა, მოიტაცებდა და სწავლის გაგრძელების უფლებას არ მისცემდა. ამან ამარილისი შეაშინა და ბიჭის ყველა ტელეფონის ნომერი დაბლოკა, თუმცა ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი მუქარა ძალიან მალე მძიმე რეალობად და გამოცდილებად იქცეოდა.

2020 წლის დასაწყისში, როდესაც გოგო მასწავლებელთან მიდიოდა, შორიხლოს ის ბიჭი შენიშნა, რომელიც თავის რამდენიმე მეგობარ მამაკაცთან ერთად მანქანასთან იდგა. მათ დანახვაზე ამარილისი შეკრთა და სიარული შეანელა. მანქანის ძრავის ამუშავებისას გოგომ მოსალოდნელი საფრთხე იგრძნო და სადარბაზოსკენ სწრაფი ნაბიჯებით წავიდა. შესვლისას ბიჭმა დაურეკა და უთხრა, რომ მასთან მხოლოდ დალაპარაკება უნდოდა და მისთვის რაიმე ზიანის მიყენება არც უფიქრია.

თავი დამანებე, არ ჩამოვალო, უპასუხა ამარილისმა და სამეცადინოდ მასწავლებელთან შევიდა.

მასწავლებლის სახლიდან გამოსვლისას საიდანღაც ის ბიჭი გამოჩნდა, რომელიც მოულოდნელად გოგოს პირისპირ აღმოჩნდა. მან ხელით ანიშნა

მეგობრებს, რომ მისკენ დაძრულიყვნენ. მანქანა პირდაპირ გოგოს წინ გაჩერდა, რომელმაც ველარ მოასწრო სადარბაზოში შესვლა.

რამდენიმე წამში ამარილისი სამი კაცის ხელებში მოემწყვდა. გოგომ ყვირილი დაიწყო და გაბრძოლება სცადა, თუმცა კაცის ხელები ძლიერად ჩაბლაუჭებოდა მის სხეულს. ერთმა უკნიდან შებოჭა, რომ განძრევის შესაძლებლობა არ ჰქონოდა. ორმა მათგანმა ფეხებში წაავლო ხელი და სამივემ ერთად კარტოფილის ტომარასავით ჩატენა მანქანაში.

გოგოს გათავისუფლებას მასთან ერთად მყოფი მეგობარი ცდილობდა. ამარილისი ყვირილზე მასწავლებელიც გამოვიდა. ისინი მთელი ძალით ექაჩებოდნენ გამტაცებლებს, თუმცა ფიზიკური ძალა არ ეყოთ, რომ გამკლავებოდნენ.

გოგომ რამდენიმე წუთით ცნობიერება დაკარგა, თუმცა არ გათიშულა. ცოტა ხანში გააცნობიერა, რომ ახალნაყიდი ნივთივით მანქანის სავარძელზე ჰყავდათ დასმული და შენაძენით ალტაცებულები მიაქროლებდნენ ავტომობილს.

მოტაცებული გოგო სოფელში, ნათესავის სახლში მიიყვანეს, სადაც ნახევარი საათი დარჩნენ. ამარილისი მანქანიდან არ გადმოსულა, ყვიროდა და შველას ითხოვდა. შენ გარეშე არ შემიძლია ცხოვრება და შენ მაიძულე ამის ჩადენაო - უთხრა ბიჭმა, რომელმაც ყველას ახარა, ცოლი მოვიყვანეო.

ამარილისი ყვირილი მეზობლებს რომ არ გაეგოთ, გოგო სხვა ნათესავის სახლში წაიყვანეს. ის ისევ არ გადმოდიოდა მანქანიდან, ამიტომ მოსალაპარაკებლად ნათესავი ქალი მიუგზავნეს, რომელმაც უთხრა - უკვე ჩვენი რძალი ხარ და გადმოდი მანქანიდანო. ამანაც რომ არ გაჭრა, ამარილისი მანქანიდან გადმოსაყვანად კვლავ ძალის გამოყენება დასჭირდა - გოგოს პირზე ხელი ააფარეს, რომ არ ეყვირა, რამდენიმე მკლავებში მოკიდა ხელი და სახლში შეიყვანა, ფეხის წვერები იატაკზე უსრიალებდა. დერეფნის გავლის შემდეგ საძინებელ ოთახში აღმოჩნდნენ.

სამი საათის განმავლობაში ცივ იატაკზე იჯდა. შიშისა და სიცივისგან ცახცახებდა. გამათბობელი მიუტანეს, მაგრამ გამორთო და ოთახში მოისროლა.

ამარილის ყველას შველასა და სახლში წაყვანას სთხოვდა, დედას ეძახდა, თუმცა იცოდა, რომ მის გვერდით არ იყო და ვერ დაეხმარებოდა. გოგოს ამშვიდებდნენ და მოტაცების სხვადასხვა ამბავს უყვებოდნენ, რომლებიც ქორწინებით დასრულდა. ამით მიუთითებდნენ, რომ მოტაცება მიღებული წესი იყო და ქალიც უნდა დამორჩილებოდა კაცების მიერ მათი თავისუფლების შემზღვეველ გადაწყვეტილებებსა და ფორმებს.

მოგვიანებით ბიჭის ოჯახს შეატყობინეს, რომ გოგოს ეძებდნენ, ამიტომ კიდევ ერთხელ სცადეს ამარილის გადამაღვა და კვალის ასარევად მეზობლის სახლში გადაიყვანეს, რომელსაც მოატყუეს, რომ გოგო თავისი ნებით იყო წამოსული.

ამარილის ფიქრობდა, რომ მას ველარასდროს იპოვიდნენ და იძულებული იქნებოდა, გამტაცებლის ცოლი გამხდარიყო. არც ის იცოდა, ამის შემდეგ მოახერხებდა თუ არა სწავლის გაგრძელებას.

ცოტა ხანში ბიჭის მამა მოვიდა და გოგო კიდევ სხვა ნათესავის სახლში წაიყვანეს - ეს უკვე მეოთხე სახლი იყო, რომელიც მათ გამოიცვალეს.

ამარილისს ატყუებდნენ, რომ მისი მშობლები შეურიგდებოდნენ ბიჭის ოჯახს და არ ენერვიულა. ყველაფერს პირდებოდნენ, რომ იმ მომენტში გოგოს თანხმობა მოეპოვებინათ.

გვიან ღამით კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ოთახში პოლიციელები შემოვიდნენ. ოჯახის წევრებმა მათი მოტყუება სცადეს და უთხრეს, რომ მოტაცებული გოგო მათთან არ იმყოფებოდა.

- მე ვარ ამარილისი, - მოულოდნელად სიბნელიდან გაისმა გოგოს ხმა.

რამდენიმე წუთში ამარილისი პოლიციელების მანქანაში აღმოჩნდა. არაფერს ამბობდა, თითქოს მეტყველების უნარი წაერთვა. იგი მშობლებს პოლიციის მანქანაში ელოდებოდა. მოულოდნელად დედა დაინახა და გული აუჩუყდა, გაფაცვიცებით ელოდებოდა, პირველად რა სიტყვებს ეტყოდა მშობელი. რაც არ უნდა მომხდარიყო, შენ მაინც ჩვენი შვილი ხარ და არ მიგატოვებთო, უთხრა დედამ და გახარებულმა იქვე მდგომ პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს აკოცა.

- სახლში დაბრუნება მინდა, - ძლივს ამოილულულა გოგომ და მიხვდა, რომ ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა.

ამარილისი მშობლებმა სახლში წაიყვანეს, ხოლო სამართალდამცველებმა ოთხივე გამტაცებელი დააკავეს. ყველა მათგანი სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია.

ამარილისს რამდენიმე თვე დასჭირდა რეაბილიტაციისთვის. ძალიან გაუჭირდა ცხოვრება ამ მძიმე გამოცდილებით, თუმცა კვლავ შეძლო ძალების მოკრება და ადამიანთა დახმარებით თავისი მიზნების მისაღწევად ბრძოლა განაგრძო. მათ ოჯახში ხშირად მიდიან ბიჭის ნათესავები და ახლობლები და სთხოვენ, რომ არ უჩივლოს გამტაცებლებს, თუმცა მამა მათ ამარილისთან მიკარებას არ ანებებს.

გოგო კმაყოფილია იმ კანონებით, რომელმაც მისი დაცვა შეძლო. *„ვერძნობდი, რომ ყველა ჩემზე ზრუნავდა“, ამბობს ამარილისი და პოლიციას მიმართავს, რომ წინასწარ არ განენიყონ, თითქოს მოტაცება გოგოს თანხმობით ხდება და როდესაც ასეთ ამბავს გაიგებენ, იზრუნონ გოგოს ოჯახში დაბრუნებაზე. ასე უფრო უკეთ შეძლებენ ახალგაზრდა ქალების დახმარებას.*

„ჩვენ გვჭირდება, რომ ჩვენი ცხოვრება ოცნებების ასრულებას დავეუბნოთ და სხვას არ მოვუხმინოთ“, - ფიქრობს ამარილისი, რომელმაც იმ დღის შემდეგ შეცვალა თავისი დიდი ხნის ოცნება და ახლა უნდა, რომ ექიმის მაგივრად იურისტი გახდეს.

ამ ამბიდან ჯერ ერთი წელიც არ არის გასული. გოგო უკვე 18 წლის გახდა და ეროვნული გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა. ახლა უკვე პროფესიული უნარების შესაძენად იწყებს მომზადებას.

ყველაფრის მიუხედავად, ფიქრობს, რომ ბედნიერია, თუმცა ამბობს, რომ ყოველთვის ამ ტვირთთან ერთად მოუწევს ცხოვრება, რომელიც მას კიდევ უფრო აძლიერებს და ბრძოლისუნარიანობას მატებს.

ნარილატას ამბავი

სამსახურიდან მოსვლის დროს ქმარს ფანჯარასთან უნდა დაელოდო. როგორც კი დაინახავ, მაშინვე საჭმლის გაცხელება უნდა დაიწყო. სანამ კიბეზე ამოვა და ხელებს დაიბანს, საჭმელი მაგიდაზე უნდა ედოს - ეს იყო 16 წლის ნარილატას ინსტრუქცია, რომელიც ზედმინევენით უნდა შეესრულებინა. ქმარს თუ არ მოეწონებოდა ცოლის მომსახურება, ჩხუბს იწყებდა. დედამთილი კი საყვედურობდა, ხომ იცი შენი ქმრის მოთხოვნა, რა ვერ ისწავლე ამდენი ხანით.

მანამდე გოგო დედას ემორჩილებოდა, მის ბრძანებებს ასრულებდა - გარეცხე, სახლი დაალაგე, იატაკი მოწმინდე. მოგვიანებით, როდესაც ნარილატას ძმა ეყოლა, გოგოს ფუნქციებს ძმის მოვლა, მისი გასეირნება და მისთვის საფენების გამოცვლა დაემატა.

დედა ყოველთვის ბიჭზე ოცნებობდა. განიცდიდა იმას, რომ ორი გოგო ჰყავდა. ნარილატას დაზე მშობიარობისას ექიმებმა შენიშნეს, როგორ ტიროდა ქალი კიდევ ერთი გოგოს დაბადებით გამოწვეული იმედგაცრუებისა და უიღბლობის გამო.

დედისთვის სქესს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მას ბიჭი უნდოდა. ნარილატამ იცოდა მისი წარმოდგენები გოგოების მიმართ, რადგან ხშირად მოუსმენია დედის სიტყვები - ოჯახში ბიჭია მთავარი, ყველაფერი მას ეკუთვნისო. გოგოს სწავლა არ სჭირდება, „გათხოვდება“ და ქმარი შეინახავსო. ამიტომ, ქალი ცხოვრების მთავარი „ნაკლის“ შევსებას ცდილობდა. იმედს არ კარგავდა, რომ ერთ დღესაც ბიჭი ეყოლებოდა.

დედის ასეთი დამოკიდებულების გამო გოგოები იჩაგრებოდნენ. დები ერთად იზრდებოდნენ დიდ ოჯახში, რომელიც საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე ცხოვრობდა. მეორე გოგოს თვალის პრობლემები ჰქონდა, ამიტომ დედა უმეტესად ჯავრს ნარილატაზე იყრიდა ხოლმე,

მის მიმართ განსაკუთრებით აგრესიული იყო. ნარილატა მხოლოდ ძალადობის ობიექტი არ იყო, დედას მასთან დაკავშირებით გეგმებიც ჰქონდა - მისი სილამაზის წყალობით ქალს არ გაუჭირდებოდა შვილის სხვა „პატრონისთვის“ ჩაბარება.

გოგო აუცილებლად ლამაზი უნდა იყოს. თუ ქალს რაიმე ნაკლი აქვს, მას საცოლედ იწუნებენ, ხარვეზიანი ნივთივით უხეშად და ზერელედ ეპყრობიან. მის არსებობას ვერაფერს ამჩნევს. თუმცა სახლში მაინც იტოვებენ, გადაგდება ენანებათ, რა იცი, რაში გამოადგება „პატრონს.“ ასეთი დანიშნულება ჰქონდა ნარილატას დას დედის თვალში, იცოდა, რომ მისი დანიშვნა გაუჭირდებოდა, ამიტომ ცდილობდა, უფროსი ქალიშვილი „სარფიანად გაეთხოვებინა.“

ნარილატას დედა 16 წლის იყო, როდესაც დაქორწინდა. ქმრის ოჯახის შემოსავალი მაშინაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მამა, ძირითადად, სხვა ქვეყანაში მუშაობდა, ამიტომ ბავშვები მის გარეშე იზრდებოდნენ. კაცმა არც იცოდა, როგორ სასტიკად უსწორდებოდა შვილს მისი ცოლი.

ერთ-ერთი ცემის დროს მამა საქართველოში იყო. გოგომ მოახერხა, რომ მამისთვის მოეყოლა დედის სისასტიკის ამბავი. ამაზე ნარილატას მშობლებს კონფლიქტი მოუვიდათ. დაანებე ბავშვს თავი, ნუ ეჩხუბებიო, უთხრა კაცმა ცოლს.

ამის შემდეგ ნარილატა დედამ ათჯერ უფრო მძიმედ და სასტიკად სცემა - მამაშენს რატომ უთხარი, მასთან რატომ მაჩხუბე, შენ ოჯახის მტერი ხარო. გოგოს დედის ეს სიტყვები სამუდამოდ ჩაებეჭდა მესხიერებაში. ნუთუ ოჯახის მტერი ვარ, იქნებ არ უნდა მეთქვა ეს ყველაფერი მამისთვისო?! გოგო თავს დამნაშავედ გრძნობდა, ამიტომ გადანყვიტა, ამის შემდეგ მამისთვის აღარაფერი მოეყოლა. არც ის უთქვამს, რომ დედა დაქორწინებას აიძულებდა.

ნარილატა ფიქრობს, რომ ქალი კიდევ უფრო აგრესიული მაშინ გახდა, როდესაც მოულოდნელად თავისი დედის გარდაცვალების ამბავი გაიგო. დედის ფერფლი სახლში მიუტანეს. ნარილატა ამ დროს 8 წლის იყო და კარგად ახსოვს, როგორ იშენდა დედა თავში მუშტებს.

ნარილატას ყოფა კიდევ უფრო სასტიკი გახდა, როდესაც ძმა შეეძინა. სახლისა

და სხვა ათასი საქმის შესრულებასთან ერთად, 13 წლის გოგოს ძმის მოვლაც დაევალა.

სწავლაში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, ამიტომ ცუდი ნიშნები ჰქონდა, რომელთა გამოსწორებასაც უშედეგოდ ცდილობდა. ყოველ საღამოს გაჯიანი იატაკის მორეცხვა უწევდა, სახლის საქმეების გამო დილით ადრე დგებოდა, რათა ემეცადინა, სანამ ყველას ეძინა. ახალი მოვალეობის დამატებასთან ერთად, სწავლას საერთოდ ვეღარ ახერხებდა. უკვე იცოდა, რომ სახლში მისვლისას, სწავლის ნაცვლად, ახალშობილი ძმისთვის უნდა მოეველო. დედა ბავშვით ხელში სახლის კართან ელოდებოდა სკოლიდან დაბრუნებულ გოგოს.

14 წლის ასაკში გამოჩნდა ბიჭი, რომელსაც ნარილატა მოეწონა. ბიჭი გოგოს თანასოფლელი და უბნელი იყო. მას შეძლებული ოჯახი ჰქონდა, ამიტომ დედის მთავარ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა. „დედაჩემს მარტო სიმდიდრე და ფული ადარდებდა, ეგონა, რომ ამით ჩემთვის კარგ მომავალს უზრუნველყოფდა“ - ამბობს ნარილატა, რომლისთვისაც ბიჭის შემოსავალი და ქონება არაფერს ნიშნავდა. მან თავიდანვე იცოდა, რომ დაქორწინება ბედნიერებას არ მოუტანდა.

მადლობა თქვი, რომ ამ ბიჭს მოსწონხარ, მე რომ ბიჭი ვყოფილიყავი, შენკენ არც გამოვიხედავდიო. ჩემზე ბედნიერი ქალი არ არსებობს, მთელ უბანში საუკეთესო ბიჭს ჩემი გოგო უყვარსო, ამბობდა სასურველი სასიძოს გამოჩენით გახარებული დედა.

ამის შემდეგ, ნარილატას ის ბიჭი გვერდიდან არ მოშორებია. იგი გოგოზე 7 წლით უფროსი იყო. შენზე სერიოზულად ვფიქრობ და ცოლად უნდა მოგიყვანო, გასწავლი და განათლების მიღებაშიც კი ხელს შეგიწყობო - თავდაუზოგავი მონდომებით ეფიცებოდა ბიჭი ნარილატას სიყვარულს. დედა ნარილატას აიძულებდა ბიჭთან ურთიერთობასა და მისგან საჩუქრების მიღებას. ბიჭიც ტელეფონზე ხშირად ურეკავდა, სიყვარულს უხსნიდა, ჰპირდებოდა, თუ ცოლად გამომყვები, ცივ ნიავს არ მოგაკარებ, ხელისგულზე გატარებო. გოგო დაფიქრდა, იქნებ ეს ყოფილიყო გამოსავალი, რომ სწავლისთვის დრო დაეთმო. მოხიბლა ბიჭის წინადადება, რომელიც უინტერესო და მძიმე ცხოვრებისგან გაქცევის შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა, ნარილატა ბიჭის მიმართ სიმპათიას მხოლოდ ტელეფონით საუბრისას გრძნობდა, როცა მას ვერ ხედავდა. მის დანახვაზე კი მუცელში უსიამოვნო შეგრძნება უვლიდა.

დედის მთავარ საზრუნავად ნიშნობის მოწყობა იქცა. უნდა „გათხოვდე“, ის კარგი ოჯახიდანაა, ფულიანები არიან, კარგ და ლამაზ სახლში იცხოვრებ და კარგად მოგივლიანო - ამ სიტყვებით იწყებდა დედა შვილთან საუბარს და თუ მისგან წინააღმდეგობა შეხვდებოდა, ლაპარაკს ცემით ამთავრდებდა.

„მტკიოდა, ძალიან მტკიოდა და ვტიროდი, მაგრამ მაინც ხმამაღლა ვიძახდი, რომ არ მინდოდა“ - ამბობს ნარილატა. ტირილისა და ტკივილისგან დაოსებული გულში იმეორებდა ამ სიტყვებს და ეგონა, რომ მისი ხმა მთელ მსოფლიოს ესმოდა, ქვეყნის ყველა კუთხეში აღწევდა და ადამიანები მის დასახმარებლად შეკრებას იწყებდნენ.

ძალადობის თავბრუდამხვევი ციკლის შემდეგ გამოფხიზლებული ნარილატა აღმოაჩენდა ხოლმე, რომ ისევ მარტო იყო და მის წარმოსახვებს რეალურობისა არაფერი ეტყობოდა.

დედას გადაწყვეტილება უკვე დიდი ხნის მიღებული ჰქონდა - მას ნარილატა „პატრონისთვის“ უნდა ჩაებარებინა.

14 წლის გოგომ სახლიდან გაქცევა ცცადა, მაგრამ ამ დროს წარმოიდგენდა ხოლმე, ხელგამოწვდილი როგორ დადიოდა მეტროში და მოწყალებას ითხოვდა. ეს ამბავი იმდენად აშინებდა, რომ ფიქრები გაქცევის შესახებ უხმოდ ქრებოდა ბავშვის გონებიდან.

საქმროსა და დედის აქტიურობამ ნაყოფი გამოიღო. გოგო იძულებული გახდა, ქორწინებას დასთანხმებოდა, რადგან სხვა გზა აღარ ჰქონდა.

ნიშნობა 2000 წელს, მე-9 კლასის დამთავრებიდან მეორე დღესვე გაიმართა. მაშინ ნარილატა 15 წლის იყო. გოგოს სახლი კაცის ნათესავეებით გაივსო, რომლებსაც ჩაით გაუმასპინძლდნენ - ეს ნიშნავდა იმას, რომ საქმროს ოჯახმა ბავშვის დაქორწინებაზე თანხმობა მიიღო. სადედამთილომ გოგოს თითზე ბეჭედი მოარგო. ნარილატა ბეჭდის ბრწყინვალეობამ მოხიბლა - მაშინ ვერ ხვდებოდა, რომ ეს ბრწყყვიალა, ლამაზთვლიანი რგოლი სათამაშო კი არა, მისი ბავშვობის დასრულებისა და სხვა კაცის საკუთრებად ქცევის სიმბოლო იყო.

ამიერიდან ნარილატა საქმროს ბრძანებებს უნდა დამორჩილებოდა. გოგო ამას პირველად მაშინ მიხვდა, როდესაც სკოლის ბანკეტზე წასვლა საქმროსგან შეუთანხმებლად გადაწყვიტა და მან ამის გამო უსაყვედურა.

დედამ 15 წლის ნარილატას საბანკეტო კაბა და ფეხსაცმელი უყიდა. გოგო დიდი მონდომებით ემზადებოდა გამოსაშვებ სალამოზე წასასვლელად.

- ბანკეტი თუ გაქვს, მე რატომ არ ვიცი, იქნებ არ გიშვებ?! - ტელეფონით საუბრისას უთხრა საქმრომ ნარილატას.

- შენ რატომ უნდა გკითხო, დედა უკვე დამთანხმდა, რომ ბანკეტზე წავიდე, - უპასუხა ნარილატამ.

ახლა უკვე მე უნდა მკითხო, რადგან შენი საქმრო ვარო, ბრძანებლური და უკმაყოფილო ტონით მიუგო საქმრომ ნარილატას.

გოგომ ტირილი დაიწყო. დედას სთხოვა, დაუზღუდონ ბეჭედს და ქორნილი ჩავშალოთო.

ამ სიტყვების გაგონებაზე დედა გაბრაზდა - უარის თქმა არც კი გაბედო ახლა, როცა თანხმობა უკვე მიცემული გაქვსო. ამ ლაპარაკში გოგოს ბეზიაც ჩაერთო - საქვეყნოდ თავი მოგვეჭრება, იქნებ საქმრომ უკვე გაკოცა, მერე ვის რად უნდა ასეთი გოგო ცოლადა. დედას და ბებიას არგუმენტები არ ელეოდათ დასასაბუთებლად, თუ რატომ იყო გოგოს მხრიდან ნიშნობის გაუქმება დიდი ტრაგედია და სირცხვილი. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამის შემდეგ ოჯახს გაუჭირდებოდა გოგოს „გათხოვება.“

ნარილატამ ბანკეტზე წასვლა მაინც მოახერხა და ეს მისი პირველი გამარჯვება ეგონა, რადგან საქმროს სურვილის მიუხედავად, თავისი გეგმები არ შეცვალა. თუმცა, ბიჭმა გააფრთხილა, გვიანობამდე ვერ დარჩები, მალე მოგაკითხავ და წამოგიყვანო.

ჯერ სუფრაც არ იყო გაშლილი, როდესაც საქმრო გოგოს წამოსაყვანად მივიდა. ნარილატა არ გაჰყვა და ბიჭს უსაყვედურა ასე ადრე მისვლის გამო.

სამ საათში საქმრომ ისევ მიაკითხა - ხომ ჭამე უკვე, წავედით ეხლა სახლშიო. ნარილატა ცრემლებს ძლივს იკავებდა, უნდოდა მთელი ძალით ეყვირა, ხმამაღლა გაეპროტესტებინა უსამართლობა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. ცრემლები მხოლოდ მაშინ გადმოუგორდა თვალებიდან, როდესაც საქმრომ სახლთან დატოვა და თვითონ წავიდა.

ჩემი საცოლე ხარ, და როცა მინდა და სადაც მინდა იქ წახვალ - ეს სიტყვები მიაძახა ჭიშკართან მდგარ ატირებულ გოგოს, რომელსაც ამის შემდეგ ყოველდღე ახსენებდა კაცისადმი მორჩილებას.

რამდენჯერაც დაიჩვილებდა გოგო საქმროს ამგვარ შეზღუდვებზე, იმდენჯერ ამშვიდებდნენ - ეს იმიტომ ხდება, რომ ძალიან უყვარხარ და ეშინია, სხვამ არ მოგიტაცოსო. როდესაც დაქორწინდებით ყველაფერი შეიცვლებაო.

ამასობაში გოგო 16 წლის გახდა. დაბადების დღე საქმროსა და მისი ოჯახის წევრებთან ერთად გაატარა. „მსმენია, თექვსმეტი წლის დაბადების დღეს გოგოები ისე აღნიშნავენ თავიანთ თანატოლებთან ერთად, როგორც „ტკბილ თექვსმეტს“. მე კი ჩემი დაბადების დღე ჩემს საქმროსა და მისი ოჯახის წევრებთან ერთად გავატარე. ის მაშინ 23 წლის იყო. საჭმელებს ორი დღე ვაკეთებდით. ჩემს სახლში სუფრა გაიშალა და ქეიფი დაიწყო, მაგრამ მე სხვაგან ვიყავი, ჩემს ოცნებებში. ჩემმა „ტკბილმა თექვსმეტმა“ ასე ჩაიარა - ეს იყო იმედგაცრუებისა და მოლოდინების არგამართლების დასაწყისი.“

მალე ქორნილის დღეც დადგა და გოგო ხუთას კაციანი წვეულების ცენტრში აღმოჩნდა.

ქორნილი მეორე დღესაც გაგრძელდა. ამ დღეს ნარილატა უკვე ქმრის სახლში უნდა წასულიყო, რის გამოც აღელვება ემჩნეოდა. გოგოს ნერვიულობა არც მის ქმარს გამოჰპარვია.

ნარილატა თავის პატარა ძმას ჩაეხუტა, წართმეული ბავშვობისა და მის გაზრდილ ძმასთან გამომშვიდობების ემოცია თვალებში უგუბდებოდა და ცრემლებად მოედინებოდა სახეზე. ტირილისაგან დაოსებულს ქმარმა მხარზე ხელის დარტყმით ანიშნა, გაჩუმდიო და ძალით გააშვებინა პატარა ძმის სხეულზე შემოხვეული ხელები.

ქორნილის ღამეს ქმარმა პატარა ნარილატა პირისპირ დაისვა და ლაპარაკი დაუწყო:

„რატომ ტიროდი? ბედნიერი უნდა იყო, რადგან ჩემნაირ ბიჭს გაჰყევი ცოლადა. დღეიდან მე ვარ შენი ბატონ-პატრონი და ჩემი თანხმობის გარეშე შენთვის სუნთქვაც კი არ შეიძლება. თუ არ დამემორჩილები, კარი ღიაა და შეგიძლია წახვიდე.“

გოგო საქორნილო კაბის ნაჭერს ნერვიულად იხვევდა თითზე. თავზე სარჭებით მიმაგრებული ფატა ცრემლისა და ოფლისგან სულ მთლად დასველებოდა. ქმარს სახეში ვერ უყურებდა, უნდოდა, ყურებზე აეფარებინა ხელები, მაგრამ სხეული არ ემორჩილებოდა.

იმ საღამოს გოგოსთვის ახალი წესები შექმნეს. მის ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა - მას ახალი „პატრონი“ ჰყავდა, რომელიც უკვე ფიქრობდა, რომ სრულად ფლობდა გოგოს სხეულს. მისი გონება და გული კი თავის „ბარბი“ თოჯინებთან დარჩა, რომლებსაც ჯერ კიდევ ორი დღის წინ უმცროს დასთან ერთად კაბებს უკერავდა.

„ახალგაზრდა“ ქალს ერთი თვის განმავლობაში გარეთ გასვლა ეკრძალება, მისთვის ფანჯარაში დიდხანს დგომა არ შეიძლება - ხალხი რას იტყვის, ახალი რძალია და ფანჯრიდან რატომ იყურებო?

გოგო სახლში მარტო რომ რჩებოდა, დას სთხოვდა, „ბარბი“ თოჯინები მიეტანა და ერთად ეთამაშათ. ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მას ისევ ბავშვობაში აბრუნებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნარილატა თავის ასეთ ცხოვრებას დედას აბრალებდა, იგი მაინც ენატრებოდა. მასთან ჩახუტება და ბავშვივით ქვითინი უნდოდა. გოგოს ესეც აკრძალული ჰქონდა.

ერთხელ ნარილატამ ფანჯრიდან დაინახა, როგორ ელაპარაკებოდა დედამისი მეზობელ ქალს. სიხარულისგან ყრუანტილმა დაუარა და ქმარს სთხოვა, დედასთან შესახვედრად გაეშვა.

- შენი ადგილი იცოდეს! - კაცმა ისე დაუბრუნა პასუხი, ცოლისთვის არც კი შეუხედავს.

ბოლოს გოგოს ხვეწნა-მუდარამ გაჭრა. დედამთილმა თავის შვილს ურჩია, წაიყვანე, ვითომ ასეირნებ და დედას შემთხვევით შეხვდეთ.

გოგო ძლიერად შემოეჭოდ დედის სხეულს. თავი მკერდზე დაადო და ჩაიბურტყუნა - „დედა, მენატრები“, - თუმცა არ იცის, გაიგონა თუ არა ქალმა შვილის სიტყვები.

დაქორწინებიდან ერთ თვეში დედამ ნარილატას დაურეკა და ქმართან ერთად პიკნიკზე დაპატიჟა. გოგომ დედის შემოთავაზება ქმარს გადასცა, რომელმაც უსაყვედურა - დედაშენს სანამ დათანხმდებოდი, ჯერ ჩემთვის უნდა გეთქვა, ამიტომ არსად არ წავალთ და ამით ჭკუას ისწავლიო. ნარილატა შეეწინააღმდეგა ქმარს, რასაც მისი მხრიდან გინება და ჩხუბი მოჰყვა.

გოგომ კარის გაღება და სახლიდან წასვლა დააპირა - „ამ დროს ნუთიერად თითქოს დავყრუვდი და თვალეში ნაპერწკლებს ვხედავდი. შემდეგ ყურში ზუილის ხმა მესმოდა. ქმარმა მთელი ძალით ჩამარტყა თავში ხელი. მაშინ პირველად იძალადა ჩემზე ფიზიკურად“ - იხსენებს ნარილატა, რომელმაც დასახმარებლად მაშინვე დედას დაურეკა. ეგონა, რომ მისგან მხარდაჭერას იგრძნობდა, როცა ძალადობის შესახებ მოუყვებოდა, თუმცა ამის ნაცვლად დედამ შვილი გაამტყუნა - ქმარია და რასაც გეტყვის, ის გააკეთეო.

ნარილატას ოჯახის ყველა წევრი ქმრის მორჩილებასა და მსახურებას ასწავლიდა.

ერთხელ დედამთილმა უთხრა: როცა შენი ქმარი გეტყვის, რომ მანონი შავია, შენ ხომ ხედავ, რომ ეს მანონი თეთრია, მაგრამ ეს არ უნდა თქვა, უნდა დაეთანხმო ქმარს და უთხრა - დიახ, მანონი ნამდვილად შავიაო. ეს ნათქვამი შეფარულად იმასაც ნიშნავდა, რომ ძალადობის დროსაც არ უნდა შეპასუხებოდა ქმარს და ამაზე პროტესტი არ უნდა გამოეთქვა.

- რატომ? ხომ შეიძლება, ავუხსნა ჩემს ქმარს, რომ სულ ტყუილად მცემს, ხომ უნდა იცოდეს, რომ მე არაფერ შუაში ვარ? - ამბობდა ნარილატა.

დედამთილი კი პასუხობდა, მისი ცოლი ხარ, ამიტომ შენს ქმარს ყველაფერში უნდა დაუჯერო. ყველა კაცი ძალღია, ყველა კაცი ყვეფს, ამიტომ მას სულ მოფერება უნდა და შენც ამას უნდა მიეჩვიო. დედამთილის ეს ნათქვამი იმაზე მიანიშნებდა, რომ ძალადობა მუდამ გამართლებული იყო და კაცს ყოველთვის ჰქონდა მიზეზი, ცოლისთვის უმაქნისი, დებილი და მახინჯი ეწოდებინა და პერიოდულად მუშტითაც გამასპინძლებოდა.

მისთვის არც გაცინება შეიძლებოდა და არც ტირილი. გოგოს ყველა ცრემლს ქმრის მხრიდან დამცირება მოჰყვებოდა - მოინმინდე ეგ შარდი თვალეებიდანო.

ნარილატას ქმარი საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, შესაბამისი განათლება და სამსახურიც ჰქონდა, ამიტომ ყველა პატივს

სცემდა, ხოლო ოჯახში სხვა როლს ირგებდა - ეს იყო მისთვის ადგილი, სადაც თავისუფლად შეეძლო ძალაუფლებისა და ავტორიტეტის დემონსტრირება.

შეზღუდვები და აკრძალვები ყოველდღიურად უფრო ძლიერდებოდა. გოგოს გარეთ გასვლის უფლება არ ჰქონდა. სასწავლებელშიც იშვიათად დადიოდა. ქმარი კოსმეტიკის მოხმარებას უკრძალავდა - არ მოსწონდა, ნარილატა მაკიაჟს რომ იკეთებდა. ვინრო შარვლის ჩაცმის უფლება არ ჰქონდა, მხოლოდ გრძელ კაბებსა და განიერ, დახურულ ტანსაცმელს ატარებდა. გოგოს ქმარი სერიალის გმირებზეც კი ეჭვიანობდა - ალბათ, რომელიმე მსახიობი მოგწონს და მაგიტომ უყურებო. ბოლოს, ნარილატა სწავლას საერთოდ ჩამოშორდა, რადგან ოჯახში გამოუცხადეს - შენ ამ სახლში რძალი ხარ და არა - მოსწავლეო.

რამდენჯერმე გოგომ სცადა დედასთან დარჩენა, თუმცა მისგანაც გაუთავებელი დამცირებისა და შეურაცხყოფისგან შენუხებული ისევ ქმარს უბრუნდებოდა, რომელსაც შეეძლო, ჩაის დასხმის გამოც კი ეჩხუბა ცოლთან. ნარილატა ისე უნდა მომსახურებოდა ქმარს, როგორც მას მოსწონდა. თუ ნარილატა ყველაფერს ქმრის ხუმტურების მიხედვით არ გააკეთებდა, კაცი მაშინვე ყვირილსა და გინებას იწყებდა - „ყურის უკან უყვარდა დარტყმა, სახეშიც შეეძლო დაერთყა, მაგრამ მე კი არ მზოგავდა, უბრალოდ, სახეში რომ დაერთყა, გამისივდებოდა და ხალხი ნახავდა.“ ასეთი იყო ჩაის დაღვევის რიტუალი გოგოს ოჯახში.

ნელ-ნელა ოჯახმა გოგო ყველასა და ყველაფერს ჩამოაშორა. მეგობრებთან კონტაქტიც აუკრძალა. ამის გამო, ნარილატამ ის რამდენიმე მეგობარიც დაკარგა, რომელთაც დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა.

რამდენიმე წელი შვილი არ უჩნდებოდათ. უშვილობაც ნარილატას დაბრალდა, ამიტომ ახალგაზრდა ქალს სხვადასხვა ექიმთან დაატარებდნენ და უამრავ წამალს ასმევდნენ.

ნარილატამ ამდენ ძალადობასა და დამცირებას ველარ გაუძლო და თავის მოკვლაზე დაიწყო ფიქრი. 6 თვის ფეხმძიმე იყო, სუიციდი პირველად რომ სცადა, მაგრამ გადარჩა. ქორწინებიდან 5 წელიწადში ქალს პირველი შვილი ეყოლა. მაშინ ნარილატა 21 წლის იყო.

რამდენიმე წელში ქალმა მეორე შვილიც გააჩინა. ახლა უკვე მთელ ყურადღებასა და მზრუნველობას ბავშვებზე ანაწილებდა.

ქმარი ცოლზე ძალადობას არც ორსულობის პერიოდში და არც ბავშვების თანდასწრებით არ ერიდებოდა. უფროსი ვაჟი ჯერ კიდევ 4 წლის იყო, როდესაც ბალიშებს ესროდა მამამისს, რათა დედა ძალადობისგან დაეცვა.

დეპრესიის გამო ნარილატას ფსიქოლოგთან სიარული დასჭირდა. „სარკემი ვიყურებოდი და ჩემს თავს ვერ ვხედავდი - ეს დღეც დადგა.“ ამას მისი ჯანმრთელობის გაუარესებაც დაემატა. ექიმთან წასასვლელი ფული არ ჰქონდა, ამიტომ მკურნალობა ვერ შეძლო. როდესაც ტკივილებმა იმატა და გოგოს გადაადგილებაც გაუჭირდა, მხოლოდ მას შემდეგ წაიყვანა ოჯახმა ნარილატა ექიმთან. ძალიან მძიმე დიაგნოზი დაუსვეს. „მაშინ პირველად ამ წლების განმავლობაში ჩემი ქმრის თვალებსა და სიტყვებში სინანული დავინახე“ - ამბობს ნარილატა, რომელმაც მკურნალობაზე კატეგორიული უარი განაცხადა, სიკვდილს ნატრობდა, რომელიც მისი მძიმე ცხოვრებიდან თავის დაღწევის ერთადერთ გამოსავლად ეჩვენებოდა.

ავადმყოფობის გამო ყველა შეიცვალა მის მიმართ. ქმარი და ოჯახის წევრები მზრუნველობას იჩენდნენ და პატივისცემით ექცეოდნენ. პირველად ხედავდა ნარილატა მათ თვალებში შიშს, რომელსაც სიკვდილის ფერი ჰქონდა.

ბოლოს, ნარილატამ ბავშვების გამო გადაწყვიტა, ემკურნალა. რამდენიმე თვეში ტკივილები გაუქრა და ფეხზე დადგომა შეძლო, რასაც მისი ქმრის კვლავ დესპოტად გადაქცევა მოჰყვა.

ამასობაში უფროსი შვილი უკვე სკოლის ასაკის გახდა. ნარილატამ მთელი ყურადღება და ძალისხმევა შვილის განათლებისკენ მიმართა. უნდოდა, რომ ის, რაც მან ვერ შეძლო, შვილისთვის აენაზღაურებინა. ქმარი ამაში ხელს უწყობდა და ცოლსაც არ უშლიდა ბავშვის განათლებისთვის საჭირო საქმიანობას.

2017 წელს ნარილატა ქმართან და შვილებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ახალ ბინაში, რომელიც მეუღლის მშობლების მეზობლად მდებარეობდა. გოგოს ეგონა, რომ საცხოვრებლის შეცვლა მისი ქმრის ხასიათის ცვლილებასაც გამოიწვევდა, მაგრამ შეცდა - „მისმა სასტიკმა ხასიათმა ახალ ბინაშიც იმავენაირად იჩინა თავი, ის ისევ საშინლად ეჭვიანი იყო და მუდმივად მაკონტროლებდა“ - ამბობს ნარილატა და მორიგ ძალადობას იხსენებს, რომელიც ახალ ბინაში გადასვლიდან მალევე მოხდა.

ნარილათა ქმარს სთხოვდა, რომ მანქანის მართვის სასწავლო კურსებზე სიარულის უფლება მიეცა, თუმცა კაცი ყოველთვის უარს ეუბნებოდა. ნარილათა არ ნებდებოდა, ცდილობდა, დაეყოლიებინა ქმარი და მისგან სანატრელი ნებართვა მიეღო. მორიგი კამათისას, როდესაც ახალგაზრდა ქალი კვლავ ცდილობდა ქმრისგან თანხმობის მოპოვებას, მოულოდნელად თვალეში დაუბნელდა - ქმარმა მხრებში ხელი მოკიდა და ცხვირში თავი ჩაარტყა. ერთხელ უარის თქმა რატომ არ აღმოჩნდა შენთვის საკმარისი?! უთხრა კაცმა, რითაც თავისი ქმედების გამართლებას შეეცადა. ასეთი იყო მისი პასუხი ცოლის დაუმორჩილებლობაზე.

ამ დროს მასთან სტუმრად და და დედა მივიდნენ, რომლებმაც ნახეს ნაცემი ნარილათა - ახალგაზრდა ქალი კორიდორში იყო ჩაკუზული, სიმწრისაგან სახე მუხლებში ჩაერგო. მისი სისხლი და ცრემლი იატაკს ეწვეთებოდა.

ამ დროს ქალში პირველად გაჩნდა შვილის დაცვის სურვილი. მან ხომ თავისი თვალთ ნახა ნაცემი შვილი, რომლის სხეულიც მტკიცებულებებს ინახავდა.

ქალმა სიძეს ჩხუბი დაუნყო და შვილის სახლში წაყვანა დააპირა. როდესაც ნარილათამ ტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო, ქმარმა პატიება სთხოვა - გამოვსწორდები და ყველაფერს შეგისრულებო.

მომდევნო ძალადობის შემთხვევები სულ უფრო მძიმე იყო. ერთ დღეს ნარილათამ საავადმყოფო ნაღძობ თითზე დამაგრებული დროებითი პროტეზითაც დატოვა. ამის მიზეზიც მისი ქმარი იყო.

ერთ დღესაც ნარილათამ გადაწყვიტა, რომ დაესრულებინა ეს ძალადობრივი ციკლი და ინფორმაციის მოძიება დაიწყო იმ დაწესებულებათა შესახებ, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ეხმარებიან. პირველი შებრძოლება მაშინ მოხდა, როდესაც მორიგი ძალადობისას ახალგაზრდა ქალმა პოლიციაში დარეკვა გადაწყვიტა. საუბრისას ქმარმა ტელეფონი გამოართვა და პატიება სთხოვა. შეპირდა, რომ ძალადობა აღარ განმეორდებოდა, თუ პოლიციაში არ დარეკავდა. ამის შემდეგ ნარილათა მიხვდა, რომ შეეძლო, ქმრის ბატონობისთვის თავი დაეღწია. მალევე გაიგო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციის არსებობის შესახებ, სადაც კონსულტაციები გაიარა. არ ჩქარობდა, უნდოდა, ყველაფერი დეტალურად შეესწავლა და თავდაჯერებულად ემოქმედა. რამდენიმე თვეში ნარილათას სრულყოფილი

ინფორმაცია ჰქონდა თავისი უფლებების შესახებ, უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. თავისი ამბავი მოუყვა მკურნალ ექიმსაც, რომელმაც მხარდაჭერა გამოუცხადა.

ერთ დღესაც ნარილათამ თავის ქმარს უთხრა, რომ იურისტებთან გადიოდა კონსულტაციებს და თუ ხელს დააკარებდა, აუცილებლად უჩივლებდა. ამან კაცი ცოტა დააფრთხო და შეაშინა. მას შემდეგ ქმარი ბრაზს მხოლოდ ყვირილითა და გინებით გამოხატავდა, თუმცა ცოლის მიმართ ფიზიკურ ძალადობას ვეღარ ბედავდა.

მალევე ნარილათამ აღმოაჩინა, რომ ქმარს სახლში მოსასმენი აპარატი ჰქონდა დამონტაჟებული. როცა სახლში არ იყო, ცოლს ამის მეშვეობით აკონტროლებდა. ქალმა მონყობილობა დამალა. როდესაც სამსახურიდან დაბრუნებულმა ქმარმა აპარატი ვერ იპოვა, ყვირილი და გინება დაიწყო. გაშმაგებული დადიოდა ოთახებში და თავის ნივთს ეძებდა. ნარილათას ბევრჯერ უნახავს განრისხებული ქმარი, თუმცა იმ დღეს უჩვეულოდ გაავებული მოეჩვენა.

ნარილათა მიხვდა, რომ ამ დღეს უნდა დაესვა ნერტილი ყველაფრისთვის. ტელეფონის ძებნა დაიწყო, თუმცა ვერ იპოვა. მიხვდა, რომ ქმარმა დაუმალა. პოლიციაში შვილის ტელეფონით დარეკა.

როდესაც კაცმა გაიგო, რომ ნარილათამ პატრული გამოიძახა, მაშინვე თავისი მშობლები დაიბარა. ისინიც მალევე მივიდნენ და სიტუაციაში გარკვევის შემდეგ რძლის ლანძღვა-გინება დაიწყეს - რას ჰქვია, შენს ქმარს პატრული გამოუძახე, ამაზე უარესს ქალი ვერაფერს გააკეთებსო.

პოლიციამ მოძალადე ქმარს ერთთვიანი შემაკავებელი ორდერი გამოუწერა და ნარილათასთან მიახლოება აუკრძალა. ცოლის მიმართ ძალადობის ფაქტზე გამოძიებაც დაიწყო.

შემდეგი რამდენიმე თვე რთული აღმოჩნდა ნარილათასთვის. მთელი ეს პერიოდი ახალგაზრდა ქალმა სამართლებრივ პროცესებში გაატარა. ბრძოლა წარმატებით დასრულდა და პოლიციის ჩარევის, ადამიანების დახმარებისა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერი პროგრამების წყალობით, ნარილათამ შეძლო ქმრის ოცნლიანი ძალადობისაგან თავის დაღწევა.

ნარილატა უკვე 35 წლისაა და შვილებთან ერთად ცხოვრობს. „ახლა ის დრო დადგა, როდესაც ცხოვრებას ვაგრძელებ“ - ამბობს ნარილატა. ქმრის სიტყვები ახსოვს, რომელმაც რამდენჯერმე უთხრა, ძალიან მიზანდასახული ხარო. ამ მიზანდასახულობის წყალობით მას უკვე თავისი სამსახური და შემოსავალიც აქვს. საცხოვრებელიდან კუთვნილი წილიც მიიღო, ხოლო ყოფილ მეუღლეს ბავშვების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდაც დაეკისრა.

„ახლა აღარ მეშინია იმ ადამიანის, რომლის წინაშეც ვკანკალებდი, ყველა შეიცვალა“ - ამბობს ნარილატა, რომელმაც თავის დაცვა და კანონები ისწავლა. ამ ცოდნას იყენებს ყოფილ მეუღლესთან ურთიერთობის დროსაც.

როდესაც ნათესავებს ოჯახში ძალადობის ამბები ესმით, ყველას ნარილატას მაგალითი მოჰყავს. ახალგაზრდა ქალი ბრძოლისა და გადარჩენის სიმბოლოდ იქცა საახლობლოსთვის.

„იმედი მაქვს, ანი სულ გამეცინება, აღარ მინდა მეტი ნერვიულობა, დაძაბულობა, სტრესი, ტირილი. აღარ მინდა სახლში გამოკეტილი ვიყო, აღარ მინდა ძალადობაში ცხოვრება“- ამბობს ნარილატა და ქალებს - ბრძოლისა და გამბედაობისკენ, ხოლო სახელმწიფოს - მათი დაცვისკენ მოუწოდებს.

კამელიას ამბავი

კამელია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში მცხოვრებ ჩვეულებრივ, ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა. მის აზრს მშობლები და ოჯახის წევრები პატივს სცემდნენ, სწავლაშიც ხელს უწყობდნენ. კამელიასთან ერთად მის კლასში 10 გოგო სწავლობდა. მე-12 კლასამდე მხოლოდ 4-მა გოგომ მიაღწია. დანარჩენები დაქორწინდნენ. გოგო, სწავლის გარდა, ფეხბურთით იყო გატაცებული, რომელსაც ხშირად ბიჭებთან ერთად თამაშობდა.

2014 წელს უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა.

კამელია თვლის, რომ როდესაც გოგოები იბადებიან, მშობლები პირველი დღიდანვე იმაზე იწყებენ ფიქრს, თუ როდის იქნება მისი ქორწილი, ქალიშვილისთვის მზითვის შეგროვებაზე ზრუნავენ. საქმროს შერჩევას მთავარი ფაქტორი ბიჭის ოჯახის ფინანსური მდგომარეობაა.

კამელიას ოჯახში კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. გოგოს დაქორწინებაზე არავინ საუბრობდა. არც ბავშვობაში დაუძალებია ვინმეს ოჯახის შექმნა.

ეს გაგრძელდა მანამ, სანამ ახალგაზრდა ქალმა მშობლებს განსხვავებული გადანყვეტილება არ ამცნო, რომელიც ქორწინებაზე უარის თქმას ნიშნავდა - კონფლიქტიც ამ მომენტიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კამელია სრულწლოვანი იყო, გაბატონებულმა სოციალურმა და კულტურულმა ნორმებმა მის გადანყვეტილებებზეც მოახდინა გავლენა, რადგან ამგვარი უხილავი წესები მნიშვნელოვანი წნეხია არა მარტო არასრულწლოვნებისთვის, არამედ სრულწლოვანი ქალებისთვისაც.

უნივერსიტეტის მეორე კურსიდან უკვე მოუწოდებდნენ ოჯახის შექმნას - შენხელებს უკვე ბავშვები ჰყავთ და შენ რაზე ფიქრობო.



სტუდენტობის დროს კამელიამ უნივერსიტეტში ერთი ბიჭი გაიცნო, რომელიც იმავე ფაკულტეტზე სწავლობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ახალგაზრდა ქალმა ეს თავის მშობლებს გაანდო. შეყვარებულობის პერიოდი არ ჰქონიათ, რადგან ეს მათ წრეში მიუღებელია. მშობლებმა ნიშნობა მოაწყვეს. შეყვარებული პირდაპირ მისი საქმრო გახდა. ქორნილის თარიღიც შეარჩიეს. ამ დროს კამელია 23 წლის იყო.

ნიშნობა 2017 წელს, კამელიას მშობლების სახლში, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში გაიმართა. ახალგაზრდა ქალის გადანყვეტილებით, ნიშნობაზე ბევრი ხალხი არ შეკრებილა. დაახლოებით 30 სტუმარი დაპატიჟეს.

დილით კამელია სალონში წავიდა ვარცხნილობისა და მაკიაჟის გასაკეთებლად. სუფრის სამზადისში, ოჯახის წევრების გარდა, ნათესავები და მეზობლებიც მონაწილეობდნენ.

შუადღისას ბიჭის ოჯახიც მოვიდა. მათ საქორწინო ბეჭედი და კაბა მოიტანეს - ნიშნობის დღეს პატარძალს ეს კაბა უნდა სცმოდა.

უფროსებს სათანადოდ გაფორმებული ჭიქებით ტკბილი ჩაი მიართვეს - ამ რიტუალის შესრულება პატარძალს ევალება.

ნიშნობის დღეს კამელია მორიდებით იყო. სწორად და თანმიმდევრობით ასრულებდა წინასწარ დადგენილ წესებსა და რიტუალებს.

ამის შემდეგ, ყოველ დღესასწაულზე, გოგოს ოჯახში დიდი სუფრა იშლებოდა - საქმროს ოჯახს ტკბილეული და საჩუქრები მიჰქონდა. პატარძალს არ ჰქონდა უფლება, ქორნილამდე ბიჭის სახლში მისულიყო.

კამელიამ ნიშნობიდან რამდენიმე კვირაში გააცნობიერა, რომ მისი საქმრო არ იყო ის ადამიანი, ვისთანაც ცხოვრების სამუდამოდ დაკავშირება უნდოდა. ეს იმანაც განაპირობა, რომ ბიჭი ძალიან შეიცვალა. ამიტომ გადანყვეტიტა, რომ განქორწინებას სჯობდა, ქორნილი საერთოდ არ გამართულიყო.

ამ გადანყვეტილების მშობლებისთვის თქმა გაუჭირდა. კამელიამ მშობლებს აუხსნა, რომ არ იყო დარწმუნებული, უყვარდა თუ არა თავისი საქმრო და უნდოდა თუ არა მისი ცოლობა. კამელიამ ვერ გახედა მშობლებისთვის იმის თქმა, რომ საბოლოოდ ჰქონდა გადანყვეტილი ქორნილის გაუქმება, ამიტომ

ქორნილის თარიღის გადადება სთხოვა. პირველ ჯერზე, სწორედ თარიღის შეცვლა მიიჩნია ერთადერთ გამოსავლად. ეს ფიქრის შესაძლებლობას მისცემდა. მშობლებმა უთხრეს, რომ თუ არ იყო დარწმუნებული საკუთარ გადანყვეტილებაში, შეეძლოთ ნიშნობის გაუქმება, კამელიაც დაეთანხმა. ეს შეთანხმება მეორე დღეს შეიცვალა, როდესაც შვილს კატეგორიულად მოსთხოვეს მიზეზის დასახელება, თუ რატომ არ უნდოდა დაქორწინება. ქორნილის გაუქმება მხოლოდ მაშინ შემოიძლია, თუ ბიჭმა შენზე ფიზიკურად იძალადაო, სხვა შემთხვევაში ქორნილს ვერ ჩავშლი, რადგან ამით ჩვენი ოჯახის რეპუტაცია შეილახებაო, უთხრა მამამ, რომლის გადანყვეტილებასაც დედაც დაეთანხმა.

მათთან მამა ოჯახის უფროსად ითვლება, ამიტომ ყველა მნიშვნელოვან გადანყვეტილებას ის იღებს, მათ შორის, ქალიშვილის დაქორწინებაზეც. ოჯახის სხვა წევრებიც მამის ამ გადანყვეტილებას გაუპროტესტებლად ემორჩილებიან. ძირითადად, დუმის ამჯობინებენ, თუმცა ამჯერად ოჯახის უფროსის მიერ დასახულ გეგმას აქტიურად აუბეს მხარი და მასთან ერთად ჩაერთნენ გოგოს დარწმუნებასა და შემზღუდველი ზომების მიღებაში.

დაიწყო ყოველდღიური და აუტანელი მონოდებები ოჯახის შექმნაზე. ეს ხომ შენი არჩევანი იყო, ამიტომ ახლა უარს ვერ იტყვიო, საყვედურობდნენ ახალგაზრდა ქალს მშობლები და მისი ამ გადანყვეტილებით ოჯახის რეპუტაციის შეზღავნების საფრთხეზე მიანიშნებდნენ.

მამამ შვილს ულტიმატუმი წაუყენა - თუ უარს იტყოდა დაქორწინებაზე, სწავლის საფასურს აღარ გადაუხდიდა და უნივერსიტეტში სიარულს აუკრძალავდა. ამით კამელიას უკან დასახევი გზა მოუჭრეს, თუმცა ახალგაზრდა ქალი მაინც არ ნებდებოდა და მოჩვენებითი თანხმობით შენიღბული ცდილობდა გამოსავლის მოძებნას.

დამკვიდრებული შეხედულებით, ქალის მხრიდან ქორნილის ჩაშლა მიუღებელია, რადგან ეს მის „რეპუტაციაზე“ ცუდ გავლენას ახდენს. კიდევ უფრო ცუდია, თუ ქორნილზე უარს საქმრო იტყვის - ეს ქალის ღირსების შელახვის ტოლფასია.

კამელიას არ ეგონა, რომ მის გადანყვეტილებას მშობლების მხრიდან ასეთი მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა. ერთხელ მამამ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა, რადგან მათთან სტუმრობისას ქალმა საქმროს სათანადო ყურადღება არ მიაქცია. ცივად რატომ შეხვდი შენს საქმროს, ახლავე დაურეკე და ბოდიში

მოუხადეო - მამის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმა და ახალგაზრდა ქალისთვის სილის განვნა ერთი იყო.

მამასთან ყველა სატელეფონო ზარი ჩხუბითა და ყვირილით სრულდებოდა.

კამელია ლექციებზე გათიშული იჯდა - უჭირდა მოსმენა და გაანალიზება, რადგან მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაერწმუნებინა მშობლები, რომ ქორწილი გაეუქმებინათ. ზოგჯერ თავს იდანაშაულებდა. ფიქრობდა, რომ გამოუცდელობამ და ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ მისი ცხოვრება რადიკალურად ამოატრიალა.

გვერდით არავინ ჰყავდა, ვისგანაც რჩევას მოისმენდა. თავისი პრობლემის შესახებ ლექტორსა და მეგობრებს მოუყვა, რომლებმაც ბრძოლა და ლაპარაკი ურჩიეს. დაახლოებით 2 თვე დასჭირდა იმისათვის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიეღო და წერტილი დაესვა იმ მძიმე რეალობისთვის, რომელიც მისი ყოველდღიური ნაწილი გახდა.

იძულებითი ქორწინებისგან თავის დასაღწევად კამელიამ პოლიციას მიმართა, რის შემდეგაც რამდენიმე კვირა თავშესაფარში გაატარა.

„500%-ით სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც პოლიციას მივმართე“ - ამბობს კამელია და ფიქრობს, რომ ამის შემდეგ მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. ეს გადაწყვეტილება თანასოფლელებმაც მოუწონეს. ოჯახი მიხვდა, რომ შვილის არჩევანში აღარ უნდა ჩაერიონ და, მით უმეტეს, არ უნდა აიძულონ დაქორწინება მისთვის არასასურველ ადამიანზე.

ნიშნობისას მოტანილი საჩუქრები უკან დააბრუნეს. ქორწილი ჩაიშალა.

კამელია ახლა უკვე 25 წლის არის და თავისი ასაკისა და უმცროს ქალებს მეტი გამბედაობისკენ მოუწოდებს. გოგობმა, რომლებმაც არ იციან, როგორ მოიქცნენ, მასწავლებელი არის ყველაზე კარგი მხარდამჭერი, ამიტომ, პირველ რიგში, მათთვის მიმართვას ურჩევს.

„ყველა თავად არის თავისი სიცოცხლის მწერალი“ - ეს ფრაზა, რომელიც ყოველ ადამიანს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ანიჭებს, კამელიას ცხოვრების მთავარ კრედოდ იქცა.

კალათეას ამბავი

„17-18 წლის გოგო სახლში დარჩენილად ითვლება, ასე ფიქრობს ყველა“ - ამბობს კალათეა, რომელიც იხსენებს შემთხვევას, როდესაც მათ სოფელში 12 წლის გოგო 32 წლის კაცზე დანიშნეს, რადგან ოჯახს მიაჩნდა, რომ მამაკაცი ბავშვს საკუთარი შეხედულებით „გაზრდიდა“ და ეს მათ ურთიერთობაში ნაკლებ კონფლიქტსა და პრობლემებს გამოიწვევდა.

„ერთფეროვანი ცხოვრება მქონდა“ - კალათეა გოგოებისათვის დადგენილ წესებსა და სტანდარტებს ემორჩილებოდა. მის ქცევას, ძირითადად, ბიჭი დეიდაშვილები აკონტროლებდნენ. მართალია, გოგო მშობლებთან იზრდებოდა, თუმცა ნათესავები თავს უფლებას აძლევდნენ, კალათეასთვის შეზღუდვები დაენესებინათ. გოგოს არ ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად სადმე წასულიყო. გარეთ გასვლისას დედა უზარებდა ხოლმე, ისეთ ადგილას ყოფილიყო, რომ მისი დანახვა მარტივად შეძლებოდა.

კალათეა რუსეთში დაიბადა, თუმცა ერთი წლის რომ გახდა, მისი ოჯახი საქართველოში ჩამოვიდა და მას შემდეგ კალათეა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში იზრდებოდა.

„უფრო ჩემს ძმაზე ფიქრობდნენ, რომ მას ესწავლა, მხოლოდ ეგ ყოფილიყო განათლებული და წარმატებული. მე კი სახლში ვიქნებოდი, მერე გავთხოვდებოდი და ოჯახიდან წავიდოდი“.

კალათეა 15 წლის იყო, როდესაც სოფელში მასზე დაქორწინების მსურველები გამოჩნდნენ. მამა წინააღმდეგი იყო - ჩემი გოგო ვერ „გათხოვდება“, სანამ 18 წლის არ გახდებო, თუმცა გოგოს დედას სხვა პოზიცია ჰქონდა, რადგან მასზე გავლენას ბიჭის ნათესავები ახდენდნენ. ეკონომიკურად ძლიერი ოჯახია, კარგად მოუვლის და კარგად გაზრდის შენს შვილს, შენი გოგო პატარაა, ბიჭი 29 წლის არის და კარგად გაუგებს, ამიტომ პრობლემები არ ექნებათ ოჯახში - ეუბნებოდნენ საქმროს ნათესავები დედას



და ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ ოჯახი, რომ კალათეას დაქორწინებაზე თანხმობა მიეღოთ.

„მე არავინ მესაუბრებოდა ქორწინებაზე, მოლაპარაკებებს მშობლები აწარმოებდნენ“ - ამბობს კალათეა, რომლის ოჯახშიც ოთხჯერ იყვნენ მისულები საქმროს ნათესავები.

მეხუთე მისვლაზე მამა უკვე დათანხმდა კალათეას „გათხოვებას“.

„როდესაც მშობლებმა მკითხეს, მინდოდა თუ არა გათხოვება, ვუთხარი, თქვენ როგორც გინდათ, ისე გადაწყვიტეთ-მეთქი, რადგან ვიცოდი, რომ ვერ შევეწინააღმდეგებოდი. ჩხუბს აზრი არ ჰქონდა, მაინც ისე მოხდებოდა, როგორც მათ უნდოდათ.“

ოჯახს ფინანსურად არ უჭირდა, ამიტომ გოგოს დაქორწინებაზე ეკონომიკურ მდგომარეობას გავლენა არ მოუხდენია. „საზოგადოების გავლენა იყო, რომ ოჯახმა ჩემი გათხოვება გადაწყვიტა“ - ფიქრობს კალათეა, რომლის მშობლებიც მაშინ დაქორწინდნენ, როდესაც სრულწლოვნები იყვნენ, თუმცა საზოგადოებრივმა აზრმა და გავრცელებულმა ტრადიციამ მათზე მაინც მოახდინა გავლენა, რომ არასრულწლოვანი ქალიშვილი „გათხოვებინათ.“

მოლაპარაკება ჩვეული ტრადიციით გაგრძელდა. კალათეას ოჯახში ქალები მივიდნენ და ტკბილი ჩაი დალიეს. ამ რიტუალის ჩატარებით გოგოს ოჯახმა თანხმობა განაცხადა შვილის „გათხოვებაზე.“ ნიშნობა 2020 წლის სექტემბერში, ხოლო ქორწილი - ორი წლის შემდეგ უნდა გამართულიყო - როცა გოგო 17 წლის გახდებოდა. ეს იყო პირობა, რაზეც ოჯახები შეთანხმდნენ.

„ასე გვატყუებენ ყველას, რომ ქორწილამდე რამდენიმე თვე და წელი მოიცდიან“ - ამბობს გოგო, რომელმაც იცოდა, რომ ბიჭის ოჯახი მის ქორწილს დააჩქარებდა. ვინმესთვის დასახმარებლად მიმართვაზე არ უფიქრია, რადგან ეშინოდა, რომ ამის გამო მშობლებთან და ნათესავებთან პრობლემები შეექმნებოდა.

კალათეა იძულებული იყო, საქმროსთან ერთად სასაქონლოდ ევლო - „მასზე ბევრი რამე არ ვიცოდი, არ ველაპარაკებოდი, მასთან ერთად როცა ვიყავი, წყალსაც კი არ ვსვამდი. მშობლების გამო მივდიოდი მასთან ერთად სასაქონლოდ, რადგან ეს მათ უნდოდათ.“

ბიჭმა შეამჩნია, რომ გოგოს არ მოსწონდა, მასთან კომუნიკაციას თავს არიდებდა, ამიტომ მისი მოტაცება გადაწყვიტა. ფიქრობდა, რომ ამის შემდეგ კალათეა იძულებული იქნებოდა, მასთან დარჩენილიყო.

საქმროსთან მორიგი შეხვედრისას, იმ პირობით, რომ კალათეა სასაქონლოდ უნდა წასულიყო, ბიჭმა გოგო თავისი დის სახლში წაიყვანა. საქმრომ უთხრა, რომ მისი და მალე მოვიდოდა და სთხოვა, რამდენიმე წუთით მოეცადა. კალათეა დივანზე დაჯდა, ბიჭი კი უაზრო ბოლთას სცემდა ოთახში. მალევე გოგომ კარის ჩაკეტვის ხმა გაიგონა. ამის გამო კიდევ უფრო დაიძაბა, თუმცა საუბრის წამოწყებას ვერ ბედავდა.

ცოტა ხანში ბიჭმა კალათეას ტელეფონი გამოართვა, რომელიც დათვალიერების შემდეგ გამორთო და ჯიბეში ჩაიღო. გოგომ სახლში წასვლა და ტელეფონის დაბრუნება რომ მოსთხოვა, ბიჭს გაეცინა და უთხრა, მოგიტაცეო. კალათეას ბიჭის ნათქვამი ხუმრობა ეგონა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ რეალობა იყო.

გთხოვ, სახლში წამიყვანე და არაფერს ვიტყვი ამის შესახებო - ეუბნებოდა გოგო ბიჭს და ფიქრობდა, ამ გზით დაერწმუნებინა გამტაცებელი, რომ მშობლებთან დაებრუნებინა.

სახლში ველარ დაგაბრუნებ, მერე მეტყვიან, არაკაცი ხარო, რადგან ყველამ იცის, რომ მოგიტაცეო. უკვე ჩემი ხარ, შეიგნეო, პასუხობდა ბიჭი და თან ოთახში სიგარეტს აბოლებდა.

როდესაც კალათეამ ბიჭი სხვა ოთახში დაიგულა, ჩანთა აიღო, დივანზე ავიდა და მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტომა სცადა. იფიქრა, რომ ამ გზით შეძლებდა გარეთ გასვლას, რის შემდეგაც ტაქსში ჩაჯდებოდა და სახლში წავიდოდა. ფანჯრის რაფაზე მდგარი კალათეა ბიჭმა შეამჩნია - მაშინვე შევარდა ოთახში და გოგო ფანჯარას მოაშორა.

ცოტა ხანში გოგომ კარის გაღების ხმა გაიგონა. ბიჭმა ოთახში საჭმელი შემოიტანა, თუმცა კალათეას პირი არაფრისთვის დაუკარებია.

გოგო მიხვდა, რომ ბიჭი არ აპირებდა მის სახლში დაბრუნებას, ამიტომ ისევ დაინყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა, ტყვეობისგან თავი დაეღწია. ინციდენტის შემდეგ ბიჭმა ყველა ფანჯარა დაკეტა, თუმცა კალათეამ აივანზე

გასვლა მოახერხა. ქვემოთ ორი ადამიანი შეამჩნია, რომლებსაც უთხრა, რომ მოიტაცეს და დახმარება სთხოვა. თუმცა, იქვე ახლოს ბიჭის ნათესავები იდგნენ, რომლებმაც მეზობლებს უთხრეს, რომ გოგო მათი სარძლო იყო და პოლიციაში არ დაერეკათ.

როდესაც ბიჭმა გაიგო, რომ გოგომ მის მეზობლებს დახმარება სთხოვა, გაბრაზდა - მეზობლებთან რატომ მარცხვენო. ამის შემდეგ დაპირდა გოგოს, რომ სახლში დააბრუნებდა, რადგან შეეშინდა, მეზობლებს პოლიციაში არ დაერეკათ. კალათეას ამ დაპირებების სჯეროდა. „აღბათ, უფრო იმიტომ, რომ სხვა გზა არ მქონდა“ - ამბობს გოგო, რომელიც ყოველი უშედეგო დაპირების შემდეგ ხვდებოდა, რომ ბიჭი თავის წინასწარ შემუშავებულ გეგმას მიჰყვებოდა.

მოგვიანებით ბიჭმა ტაქსი გამოიძახა. ავტომობილში კალათეასთან ერთად საქმრო და მისი ნათესავი კაციც ჩაჯდა. ამ დროსაც გაისმა საქმროს მორიგი დაპირება იმის შესახებ, რომ გოგოს სახლში დააბრუნებდნენ, თუმცა, როდესაც ავტომობილი მის სახლს გასცდა, კალათეა მიხვდა, რომ ისევე ატყუებდნენ. დახმარება ტაქსის მძღოლს სთხოვა, უთხრა, რომ მოტაცებული იყო. ამ დროს მძღოლმა სვლა შეანელა, თუმცა ბიჭმა მოძრაობის გაგრძელება მოსთხოვა, რასაც მძღოლიც დაემორჩილა.

კალათეა ნათესავის სახლში მიიყვანეს, რომელიც ბიჭმა და მისმა სიძემ მოატყუეს, რომ გოგო 16 წლის იყო და თავისი ნებით გაჰყვა ბიჭს. ნათესავმა ქალმა გოგო სამზარეულოში გაიყვანა. ბავშვმა დრო იხელთა და ქალს ყველაფერი მოუყვა. ისიც უთხრა, რომ 15 წლის იყო და არ უნდოდა „გათხოვება.“ ქალი დახმარებას დაპირდა - მისი ტელეფონი არ მუშაობდა, ამიტომ დახმარება მასთან მცხოვრებ მამაკაცს სთხოვა (კალათეამ არ იცის, ვინ იყო ქალის თანმხლები მამაკაცი).

მე რომ ახლა მამაშენს დაუფრეკო, ეგონებათ, რომ მეც ამ საქმეში ვარ გარეული, ამიტომ მე ვერ დაგეხმარებიო - უთხრა კაცმა.

ამ დროს ნათესავი ქალი გაემზადა, რომ გოგო სახლში დაებრუნებინა, თუმცა მას საქმრო დაპირდა, რომ კალათეას სახლში წაიყვანდა. „ბიჭმა უთხრა, ხალხთან თუ ასე ტირის, ცოლად აღარ მინდაო. ნავიყვან და მამამისთან გადავაგდებო, თითქოს ნაგავი ვიყო“ - ამბობს გოგო, რომელიმაც ქალს უთხრა, რომ ატყუებდნენ და ისიც მათთან ერთად წამოსულიყო, თუმცა მან ბიჭის

დაპირება იმის თაობაზე, რომ ბავშვს ოჯახში დააბრუნებდნენ, დაიჯერა და სტუმრები სახლიდან გააცილა.

გოგო ისევ ჩასვეს მანქანაში და იმავე შემადგენლობით გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. „დავინახე, რომ ისევ გავცდით ჩემს სახლს. მიხვდი, რომ კიდევ სხვა ადგილას მივყავდი.“

ბიჭმა მოტაცებული გოგო სხვა ნათესავის სახლში მიიყვანა, სადაც ორი ქალი დახვდათ. მანქანიდან გადმოსვლისას კალათეამ ყვირილი დაიწყო და შველას ითხოვდა. ამ დროს, ბიჭმა გოგო ხელში აიყვანა და მის სახლში შეყვანას ცდილობდა. კალათეა წინააღმდეგობას უწევდა, სახლში შესასვლელ კარს მოეჭიდა, რა დროსაც ხელი დაიზიანა.

შეიგნე, რომ სახლში ვეღარ დაბრუნდები, რომც არ მოგნონდე, უკვე ჩემი ცოლი ხარო, გაგაფუჭებ და მერე თუ გინდა წადიო - ემუქრებოდა ბიჭი, რომლის ნათქვამშიც დაქორწინების შემდეგ გოგოსთან დაშორება იგულისხმებოდა. ამით, ბიჭის აზრით, მისი სახელი და რეპუტაცია არ შეილახებოდა.

გოგოს ოთახის კარი ისევ ჩაუკეტეს, რომ არ გაქცეულიყო. მთელი დღის ნამტირალევი და დასტრესილი კალათეა თავს ცუდად გრძნობდა და სუნთქვა უჭირდა. ამის გამო გოგოს ცოტა ხნით გარეთ გასვლის უფლება მისცეს.

უკვე თენდებოდა. გოგოს დაძინების ეშინოდა, ამიტომ მთელი ღამე ფხიზლად გაატარა.

მეორე დღეს კალათეას მამასთან საუბრის უფლება მისცეს, თუმცა წინასწარ დაარიგეს, რა უნდა ეთქვა ბავშვს მშობლებისთვის. უთხარი მამაშენს, რომ კარგად ხარ, არავის მოუტაცებინარ და შენი ნებით გაჰყევი მას ცოლადო - რამდენჯერმე გაამეორებინეს კალათეას ეს სიტყვები, რომ სწორად და თანმიმდევრობით ეთქვა მამასთან საუბრისას.

„თუ ძალით წაგიყვანეს და არ გინდა დარჩენა, მითხარი და წამოგიყვან“ - უთხრა მოკითხვის შემდეგ მამამ შვილს. კალათეამ მხოლოდ „კი-ს“ თქვა მოახერხა ისე, რომ მის გვერდით მჯდომი ბიჭის ნათესავები ვერ მიმხვდარიყვნენ, რაზე ელაპარაკებოდა მამას.

მამამ შვილის დაბრუნება მოითხოვა და ბიჭის ოჯახს პოლიციაში დარეკვით დაემუქრა. ყველას გაუკვირდა მამის ასეთი რეაქცია, რადგან ვერ მიხვდნენ, რამ გამოიწვია კაცის ასეთი გაღიზიანება. რა უთხრა ბავშვმა მამას ასეთი, რომ გაბრაზებულია და პოლიციაში დარეკვით იმუქრებაო - შემოუთვალეს მამის მეზობლებმა ბიჭის ოჯახს, რომლებიც მათი ნათესავები იყვნენ.

გოგოსთან შანტაჟმა და მუქარამ რომ არ გაჭრა, ახლა უკვე ბიჭის ნათესავი ქალები არწმუნებდნენ ბავშვს, რომ თვითონაც 13 წლის ასაკში „გათხოვდნენ.“ მართალია, თავიდან არ მოსწონდათ მათი ქმრები, თუმცა მერე მიეჩვივნენ, შვილები გააჩინეს და შეუყვარდათ კიდევ. ახლა უკვე ამ გზით ცდილობდნენ გოგოზე ზეგავლენის მოხდენას.

როდესაც მიხვდნენ, რომ შესაძლოა, კალათეას მამას პოლიციაში დაერეკა, გოგო ისევ ჩასვეს მანქანაში, კარი ჩაუკეტეს და ახლა უკვე თბილისისკენ აიღეს გეზი. ქალაქში შესვლის შემდეგ, საჭმელად და დასასვენებლად ერთ-ერთ რესტორანში გაჩერდნენ.

გოგომ ტუალეტში შესვლა ითხოვა. ხელის დასაბან ნიჟარასთან ერთი ქალი შეამჩნია, რომელიც რესტორნის თანამშრომელი აღმოჩნდა. კალათეამ ქალს ტელეფონი სთხოვა, რომლითაც მამასთან დარეკა. ბავშვმა მამას აუხსნა, სად უნდა მოსულიყო.

ტელეფონზე საუბრისას ბიჭმა კარის გაღება სცადა - სად ხარ ამდენ ხანს, რატომ არ გამოდიხარო და კარის სახელურს დაუნყო ჯაჯგურით. თანამშრომელმა ქალმა ბიჭს არ მისცა შესვლის შესაძლებლობა - ვერ ხედავ, რომ ქალების ტუალეტია, გარეთ დაელოდეო.

კალათეამ ქალს უამბო მოტაცების შესახებ, ის კი გოგოს დაპირდა, რომ პოლიციის გარდა არავის გაატანდა მის თავს.

ცოტა ხანში სამართალდამცველებიც გამოჩნდნენ, თუმცა ბიჭი და მისი ნათესავები ადგილზე აღარ დახვდნენ. მშობლებთან შეხვედრისას დედამ შვილს ურჩია, პოლიციისთვის ეთქვა, ვითომ სასაქონლოდ იყვნენ წასულები, თუმცა კალათეამ მათ ყველაფერი უამბო. დედა თავიდანვე იყო შვილის დაქორწინების მომხრე, ამიტომ, სავარაუდოდ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ არ გაუპროტესტებია გოგოს მოტაცება. კალათეამ პოლიციას სთხოვა, რომ სახლში აღარ დაებრუნებინათ, რადგან იცოდა, რომ მასზე ზენოლას

მოახდენდნენ, რათა ჩვენება შეეცვალა, ამიტომ გოგო ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში გადაიყვანეს.

ბიჭი მიიმალა, თუმცა პოლიციამ რამდენიმე დღეში იპოვა და დააკავა. ახლა მას აღკვეთის ღონისძიებით სახით პატიმრობა აქვს შეფარებული და სასამართლო განხილვები მიმდინარეობს.

კალათეას სურს, რომ ბოლო მოტაცებული გოგო იყოს და მის თანატოლებს აღარ მოუწიოს იმავე გზის გავლა. გამოსავალს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მათთვის ინფორმაციის მიწოდებაში ხედავს - „ბევრმა არ იცის, ასეთ დროს როგორ უნდა მოიქცეს, ვის უნდა მიმართოს დასახმარებლად.“ იგი ფიქრობს, რომ სკოლა მერვე და მეცხრეკლასელ გოგოებს უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს. „არ გამიგია, რომ სკოლას ბავშვების გათხოვებასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია ჰქონოდა“ - ამბობს კალათეა და თავად იხსენებს შემთხვევას, როდესაც მე-8 კლასში ორი თვის განმავლობაში სკოლაში არ დადიოდა, რადგან ოჯახმა შეიტყო, რომ მის მოტაცებას აპირებდნენ, თუმცა სკოლა არ დაინტერესებულა გაცდენის მიზეზებით და არ უცდიათ გოგოს მხარდაჭერა.

„ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ გოგო მოიტაცეს, რომელსაც უნდოდა სახლში წამოსვლა, თუმცა მშობლებს უთქვამთ, რომ უკან ველარ დაბრუნდებოდა - სოფელი ცუდად ილაპარაკებდა მის ოჯახზე. ამის გამო შვილი უკან არ მიიღეს. მე ხომ ვხვდები, ის გოგო როგორ განიცდიდა ემოციურად, მეც ხომ იგივე გზა გამოვიარე?!“ - ამბობს კალათეა და ფიქრობს, რომ რადგან მის საქმეში პოლიცია ჩაერია, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და მშობლებისგან მხარდაჭერა იგრძნო, ამიტომ პოლიციას სთხოვს, რომ მისი საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

გოგო მომავალს იმედიანად უყურებს, თუმცა არ იცის, როგორ გააგრძელებს ცხოვრებას. ეშინია, რომ თუ ბიჭს დაიჭერენ, შეიძლება მისმა ოჯახმა რაიმე დაუშავოს, თუმცა ამის გამო არ აპირებს უკან დახევას და ბრძოლის გაგრძელებას გეგმავს - „ჩვენ კლასელებისგან, მეგობრებისგან, მშობლებისგან და ხალხისგან მხარდაჭერა გვჭირდება“ - ამბობს კალათეა, რომლის გარშემოც ყველას ბიჭი ეცოდება და 15 წლის ბავშვს ადანაშაულებენ იმის გამო, რომ პოლიციას სთხოვა დახმარება. კალათეა ფიქრობს, რომ ბიჭმა სათანადოდ უნდა აგოს პასუხი იმის გამო, რაც ჩაიდინა და კარგად გააცნობიეროს თავისი საქციელი, რომ მომავალში იგივე აღარ გაიმეოროს.

თავშესაფარში გატარებული რამდენიმე თვის შემდეგ გოგო მშობლებთან დაბრუნდა. მათ გარეშე სიცარიელეს გრძნობდა, თუმცა ეშინოდა, რომ შესაძლოა, მასზე გაბრაზებულები ყოფიყვნენ - „მაგრამ ასე არ მოხდა, უფრო გავუგეთ ერთმანეთს და დავახლოვდით, ამ მძიმე გამოცდილებამ გაგვაერთიანა.“ მამამ გოგოს უთხრა, რომ ცხოვრება ახალი ფურცლიდან დაეწყო, ხოლო დედა დაპირდა, რომ დაშვებულ შეცდომებს აღარ გაიმეორებდნენ, აღარ იფიქრებდნენ შვილის „გათხოვებაზე“ და სწავლის გაგრძელებაში შეუნყოფდნენ ხელს, ამიტომ ახლა უკვე გადანყვებილებს ერთობლივად იღებენ. „აღარ ვაპირებ, იმავე გარემოში დავბრუნდე“ - ამბობს კალათეა, რომელიც მომხდარის დავინყებას ცდილობს და ახალი მეგობრების გაჩენისა და ახალი ურთიერთობების დასაწყებად ემზადება.

კალათეა თანატოლ გოგოებს ურჩევს, რომ თუ მოიტაცებენ, რამდენი დღეც არ უნდა გავიდეს, არ გაჩერდნენ იქ და აუცილებლად დაბრუნდნენ უკან. „ძალიან დიდი ტყუილია, რასაც ეუბნებიან ჩემხელა გოგოებს - შეეჩვევი და შეგიყვარდებაო. არც ერვევი და არც გიყვარდება, უბრალოდ ეგუები რეალობას და იძულებული ხარ, რომ ასე დააჯერო შენს თავს.“

კესანეს ამბავი

კესანე 15 წლის იყო, როდესაც მოიტაცეს.

ოჯახში ხშირად ხედავდა, როგორ ძალადობდა მამა დედაზე. ეს მასაც და სხვებსაც ნორმად მიაჩნდათ.

მისი ძმა უფრო მეტი პრივილეგიით სარგებლობდა, რადგან ბიჭი იყო. დედა მოუწოდებდა, ისე მოქცეულიყო, როგორც გოგოს შეეფერებოდა - ეს კი მის ბევრ რამეში შეზღუდვას ნიშნავდა.

მშობლებს არასოდეს უკითხავთ, რას ფიქრობდა თვითონ - პირველ ადგილზე ყოველთვის მეზობლის აზრს აყენებდნენ. მეზობელი რას იტყვისო - მხოლოდ ამის შიში ჰქონდათ, რითაც გოგოზე გავლენისა და ზემოქმედების მოხდენის ყველა შესაძლებლობას ამართლებდნენ.

კესანეს შეყვარებული ჰყავდა, თუმცა გოგო ბიჭის დედას არ მოსწონდა - დაბალიაო, ამბობდა. მისი აქტიური ჩარევის შედეგად შეყვარებულები ერთმანეთს დაშორდნენ. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მის ცხოვრებაში სხვა ადამიანი, რომელიც მოგვიანებით მისი ქმარი გახდა. კესანე და მისი მომავალი ქმარიც თბილისში ცხოვრობდნენ.

2008 წელს, შეყვარებული მხოლოდ ორი თვის გაცნობილი ჰყავდა, როდესაც ბიჭმა მოიტაცა. ოჯახს პოლიციისთვის არ მიუმართავს. მშობლებმა გოგო უკან დააბრუნეს, თუმცა რამდენიმე კვირაში კესანე იმ ბიჭს ცოლად გაჰყვა. იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო, რადგან გოგოების უმრავლესობა საზოგადოებისა და ოჯახის წევრთა ზეწოლის გამო იძულებულია, ცოლად გაჰყვეს გამტაცებელს. გოგო მუდმივი ქილიკისა და მითქმა-მოთქმისთვის იყო განწირული, მას უკვე მოტაცებულის სტატუსი ჰქონდა. მოტაცება მაშინ საქართველოში არც თუ ისე იშვიათ პრაქტიკას წარმოადგენდა. მოტაცებულ გოგოს აღარავინ მოიყვანს ცოლად, ამიტომ საზოგადოების ნაწილს მოტაცების შემთხვევების მიმართ



მიმღებლური დამოკიდებულება ჰქონდა. ამის შემდეგ კესანეს „პატრონი“ უკვე მისი ქმარი გახდა. ამის გამო მას სწავლის მიტოვება და სოციალურ ურთიერთობებზე უარის თქმა მოუწია.

„ბავშვი ვიყავი, მაგრამ თავი ისეთი დიდი მეგონა...“ - ახლა უკვე 27 წლის კესანე დიდი გულისტკივილით ამბობს და ფიქრობს, რომ ასაკიდან გამომდინარე არ უცდია, თავისუფლებისათვის ებრძოლა და ამაში მხარდაჭერაც არავისგან უგრძნია.

კესანე 9 თვის ორსული იყო, როდესაც მეუღლემ პირველად სცემა. მანამდეც ძალადობდა, თუმცა სხვა ფორმებით. კესანეს ქმარი ყველაფერში ზღუდავდა. აივანზე სარეცხის გასაფენად გასვლასაც კი უკრძალავდა.

ადრე მამა დედაზე ძალადობდა და კესანე ამის შემსწრე იყო. ახლა კი მის მიმართ ქმარიც იმავეს სჩადიოდა.

ყველაფერს უკონტროლებდა, თმის სიგრძიდან და მაკიაჟის გაკეთებიდან დაწყებული, მისი ყოველდღიური საქმიანობით დამთავრებული. ქმარს ოთახებში კამერები ჰქონდა დაყენებული. სახლში რომ ბრუნდებოდა, ცოლს ეკითხებოდა, რა გააკეთა იმ დღეს - მასაც უნდა ელაპარაკა ისე, რომ კამერებში დაფიქსირებულ ჩანანერს დამთხვეოდა.

ყოველთვის შეეძლო გაეჩხრიკა ცოლის ტელეფონი და სოციალური ქსელები. რაიმე ხელჩასაჭიდს რომ ვერ ნახულობდა, ესეც აღიზიანებდა.

ქორწინების პერიოდში კესანეს სამი შვილი გაუჩნდა. ქმრისგან დანესებული შეზღუდვებისა და კონტროლის პარალელურად, ცდილობდა, ბავშვების აღზრდისთვის სათანადო ყურადღება დაეთმო.

მამას ძალადობამდე სამივე შვილი სხვა ოთახში გაჰყავდა, თუმცა ბავშვებს დედის ტირილი მაინც ესმოდათ.

სულ ფიქრობდა, ნეტა ახლა რა საბაბი უნდა მოძებნოს, რომ თავს დამესხას და შეურაცხყოფა მომაცენოსო. კესანემ არ იცოდა, რომ მის ქმარს საბაბი არ სჭირდებოდა, შეეძლო ეს საბაბი თავად გამოეგონებინა.

სხვისთვის სახეში შეხედვას უკრძალავდა და მისგან თავის დახრას მოითხოვდა. შემთხვევით ქუჩაში გამვლელისთვის რომ შეეხებდა, მაგაზეც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა.

სახლიდან რომ გადიოდა კარს კეტავდა. „ციხეშიც არ აქვთ ისეთი წესები, როგორც მე ჩემმა ქმარმა შემიქმნა. სახლში ხანძარი რომ გაჩენილიყო, იქიდან ვერავინ ვერ გამომიყვანდა.“ კესანემ იცოდა, რომ კარის ყოველი გაღება ძალადობას მოასწავებდა.

მასთან ცხოვრებამ ძალიან შეცვალა. დაკარგა ყველა და ყველაფერი.

ერთხელ დახმარება მშობლებსაც სთხოვა, თუმცა მათ ურჩიეს, იქნებ გამოსწორდეს, ერთი შანსი კიდევ მიეცეო.

ამ შანსებს კი ლიმიტი არ ეწურებოდა.

სახლიდან სანამ გავიდოდა, ტელეფონს საუბრის რეჟიმზე რთავდა და მთელი დღის განმავლობაში ამ მდგომარეობაში დაჰქონდა. ყურმილის მეორე მხარეს მისი ქმარი იყო, რომელიც ცოლის თითოეულ ფეხის ნაბიჯს, სუნთქვას, ავტობუსში ასვლასა და სუპერმარკეტში პროდუქტების საყიდლად შესვლას დიდი გულისყურით უსმენდა.

მეგობრებთან და ახლობლებთან შეხვედრას ვეღარ ახერხებდა. ვინმე რომ შეხვდებოდა, სულ ამბობდა, რომ სახლში ერქარებოდა. ყველა იმას ეუბნებოდა - რა გაქვს ამდენი საქმე, რომ ხუთი წუთი ვერ ჩერდებიო. არადა, რეალურად საქმე კი არა, სახლში ქმარი ელოდებოდა, რომელიც ცოლს ყველა დაგვიანებაზე ფიზიკურად და სიტყვიერად უსწორდებოდა.

ბავშვების სკოლიდან გამოსაყვანად ან პროდუქტის მოსატანად რომ გავიდოდა, ცდილობდა არ დაეგვიანა. ამის გამო სახლში სირბილით ბრუნდებოდა. კიბეებზე ქოშინით არბოდა, რომ ქმრის მორიგი რისხვა არ დასტეხოდა. იცოდა, რომ 5 წუთით დაგვიანებაზეც კი კარგი დღე არ დაადგებოდა.

ჩუმად იყო და არავის არაფერს ეუბნებოდა, დუმილს ამჯობინებდა. თითოეული ძალადობის შემდეგ ფიქრობდა, რომ ესეც გაივლიდა, მაგრამ მის ქმარს გამბედაობა და ცოლის დამორჩილების ჟინი უფრო და უფრო

ვმატებოდა. „ერთხელ რომ დაგახრევენებს თავს, უფრო მეტი უნდა - ეს არის მოძალადის ფსიქოლოგია.“ - ამბობს კესანე, რომელმაც გვიან გააცნობიერა ქმრის სასტიკი და დაუნდობელი ბუნება.

მის მიმართ ძალადობა პირველად სოციალურმა მუშაკმა შეამჩნია, რომელსაც დასახმარებლად სულ სხვა მიზეზით მიმართა. კესანემ მას ყველაფერი მოუყვა. ამის შემდეგ, სოციალურმა მუშაკმა მათ ოჯახში ვიზიტები დაიწყო. მან ურჩია კესანეს, რომ პოლიციისთვის მიემართა, თუმცა ახალგაზრდა ქალი ყოყმანობდა.

საბოლოოდ, პოლიციისათვის მიმართვა მაინც ვერ გაბედა. ამაშიც თავისი სოციალური მუშაკი დაეხმარა.

მისი ყოფილი მეუღლე მაშინვე დააკავეს. მოსამართლემ მამაკაცი გაამტყუნა ცოლის მიმართ ჩადენილი ძალადობის რამდენიმე ეპიზოდში და სასჯელად თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

კესანე ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდა. ბავშვობის ასაკში ქორწინების გამო სწავლის მიტოვება მოუხდა, მხოლოდ ცხრა კლასის განათლება აქვს მიღებული, ამიტომ, პირველ რიგში, სწავლის გაგრძელებას გეგმავს. იგი თავის შვილებთან ერთად ცხოვრობს. თავისუფალი დრო თითქმის აღარ რჩება. უნდა, რომ რაც ამდენი წლის განმავლობაში დაკარგა, ახლა აინაზღაუროს.

„თუ დააკაკუნებ, გაგიღებენ, ამიტომ თუ ილაპარაკებ, აუცილებლად დაგეხმარებიან“ - ამბობს კესანე და ფიქრობს, ვინმეს მისი ყვირილი რომ გაეგონა და პოლიცია გამოეძახებინა, არ გაჩუმდებოდა და აუცილებლად ილაპარაკებდა.

„ყველა მსხვერპლს აქვს იმედი, რომ მოძალადე შეიცვლება, გამოსწორდება, მაგრამ ეს ჩვენი ილუზიაა, ფანტაზიის ნაყოფია“ - ფიქრობს კესანე და ყველა ქალს მოქმედებისკენ მოუწოდებს.

„მე უკვე ვიმოქმედე“ - ამბობს კესანე და მადლიერია იმ ადამიანების, რომლებიც ძალადობისგან თავის დაღწევასა და ცხოვრების დამოუკიდებლად გაგრძელებაში დაეხმარნენ.

ჩინარას ამბავი



ჩინარა კოჯაევა თეთრინყაროს რაიონის სოფელ ქოსალარიდან არის. გოგო 2000 წელს, ზაფხულის მიწურულს დაიბადა. მისი სახელი ქართულად „ოცნებების ხეს“ ნიშნავს. ჩინარა ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე, თუ როგორ ჩქეფდა ცხოვრება სხვაგან, მისი პატარა სოფლისა და ქვიტკირით ნაშენი სახლიდან ძალიან შორს. ფიქრობდა, რომ თუ ისწავლიდა და კარგ განათლებას მიიღებდა, შეძლებდა წარმატებისთვისაც მიეღწია და ამით თავისი ოჯახი და სოფელი ესახელებინა.

ოჯახში მხოლოდ მამა და ძმები მუშაობდნენ, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, რაც ოჯახისთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო.

დედა 18 წლის იყო, როდესაც ჩინარას მამას გაჰყვა ცოლად. მას შემდეგ მთელი ცხოვრება სახლის საქმეებით იყო დაკავებული.

ჩინარას ორი ძმა და ერთი და ჰყავს. ის, რაც ჩინარას ძმებისთვის დაშვებული იყო, გოგონებს ეკრძალებოდათ - ოჯახში ძალაუფლება მხოლოდ კაცებს ეკუთვნოდათ.

ჩინარას და ბავშვი იყო, როდესაც დაქორწინდა. სწავლა მასაც უნდოდა, მაგრამ მშობლებმა უთხრეს, რომ ამაში ხელს ვერ შეუწყობდნენ.

2015 წელს, ჩინარამ სოფელ ქოსალარის საჯარო სკოლა დაამთავრა, საიდანაც მხოლოდ საბაზისო, ცხრა კლასის განათლება მიიღო. სურვილის მიუხედავად, სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო, რადგან ამისთვის მეზობელ სოფელში მოუწევდა სიარული, სადაც სრული საშუალო განათლებისა და 12 კლასის დამთავრება შეეძლო, თუმცა



მშობლებმა უარი უთხრეს - არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ მგზავრობის თანხა მოგცეთო. ამის გამო, სკოლის დამთავრების შემდეგ, დედის მსგავსად, გოგოს მთავარი საზრუნავიც სახლის საქმეები გახდა. ოჯახს მიაჩნდა, რომ გოგოებს სწავლა არ სჭირდებოდათ, რადგან ნასწავლი ქალი ბევრ რამეზე ფიქრობს, საკუთარი შეხედულებებიც აქვს - ეს კი, მათი აზრით, ოჯახსა და გოგოს ქმარს არაფერში არგია.

„უკვე 14 წლის თუ ხარ, ჩვენთან ხელის სათხოვნელად იწყებენ მოსვლას. ქორწილში მოტირალი არასრულწლოვანი პატარძლებიც მინახავს, რომლებსაც არ უნდოდათ გათხოვება“ - ამბობს ჩინარა.

ერთ დღესაც, სკოლიდან დაბრუნებისას სახლში სტუმრები დახვდა. დედას ჰკითხა, რისთვის შეკრებილიყვნენ ეს ადამიანები, მან კი უთხრა, შენთან მოვიდნენ და მამაშენს დაელაპარაკებიანო. ჩინარა მიხვდა, რაც ხდებოდა და თავის ოთახში ატირებული შევიდა. მან მალევე გაიგონა მამის დამაჯერებელი და მბრძანებლური ხმა - კი, თანახმა ვარო. თითქოს ეს ხმა ექოსავით გაისმა მთელ სახლში და კაცის ნათქვამი სიტყვა რამდენჯერმე გამოეორდა.

მამის სიტყვა დედის დამაზუსტებელმა შეკითხვამ შეცვალა - შეიძლება ჩინარა არ იყოს თანახმაო. მამა ჩინარასთან შევიდა და უთხრა, რომ ქორწილი გარდაუვალი იყო და ის აუცილებლად შედგებოდა. მისთვის აზრი არავის უკითხავს.

მშობლებს უნდოდათ, ჩინარა შეძლებულ ბიჭს გაჰყოლოდა ცოლად, შერჩეული სასიძო კი სოფელში ყველაზე მდიდარ კაცად ითვლებოდა. მას 600 სული საქონელი ჰყავდა, რაც ოჯახისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო. „ჩვენ ვერ ვყიდულობთ შენთვის რალაცეებს, ისინი ყველაფერს გიყიდიან, ბევრი ფული გექნება“ - ეუბნებოდა ჩინარას მამა და ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ ქორწინება მისთვის ბედნიერებისა და კეთილდღეობის მომტანი იქნებოდა.

ნიშნობა 2014 წლის მიწურულს, ჩინარას სახლში გაიმართა. 14 წლის გოგო პროტესტის ნიშნად შავებში გამოეწყო, რადგან მას არავინ უსმენდა.

ტრადიციის თანახმად, მომავალ პატარძალს ნიშნობის დღეს საქმროს ოჯახი საჩუქრებს ჩუქნის. გოგოს ოქროს სამკაულები, სხვა ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი და კოსმეტიკა მიუტანეს. ქორწილი ერთ წელიწადში უნდა გამართულიყო, როდესაც ჩინარა 15 წლის გახდებოდა.

„ძალიან ბავშვი ვიყავი“ - ამბობს ჩინარა, რომელსაც მეზობლებისგან ისიც კი სმენია, ეს ისევე პატარა ბავშვებთან თამაშობს და როგორ დანიშნესო?

დედისთვის ყოველ შეჩვილებაზე ერთსა და იმავე პასუხს იღებდა - მამაშენმა გადაწყვიტა და ვერ შევეწინააღმდეგებო. გოგოს არც ოჯახის სხვა წევრები უჭერდნენ მხარს.

ერთხელ ძმამ უთხრა, სახლში რა უნდა აკეთო, ამას არ ჯობია, „გათხოვდეო?!“

ჩინარა საქმროსთან ლაპარაკსა და ურთიერთობას ერიდებოდა.

შემთხვევით უფროსი ძმისა და დედის ლაპარაკი მოისმინა, რომლებიც ამბობდნენ - რადგან ჩინარას არ უყვარს ის ბიჭი, ჯობია, მოიტაცოსო. ფიქრობდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში გოგო უკან ველარ დაბრუნდებოდა და იძულებული იქნებოდა, ბიჭთან დარჩენილიყო.

ჩინარა ერიდებოდა ბიჭთან ერთად სასაქონლოდ გასვლას, რათა მოტაცების შესაძლებლობა არ მიეცა. ერთხელ საქმრომ მას თავის ნათესავებთან ერთად მთაში გასაქონლება შესთავაზა და რადგან ჩინარას მთა არასოდეს ენახა, დათანხმდა. „მე მთა არასოდეს არ მქონდა ნანახი, ამიტომ დამინტერესა და წავედი.“ დაღამებისას, როდესაც უკან დაბრუნებას აპირებდნენ, დაიკარგა. საქმრო ჩინარას ემალებოდა და მოულოდნელად შეაშინა. ამ დროს უთხრა, თუ ჩემთან არ წამოხვალ, აქ დაგტოვებო. ჩინარას მოტაცების ეშინოდა და უარი უთხრა, ამიტომ ბიჭმა დანაპირები შეასრულა და მთის ფერდობზე დატოვა. შემდეგ ჩინარა ბიჭის ნათესავებმა იპოვეს და სახლში დააბრუნეს.

მეორე დღეს ყველაფერი მშობლებს უამბო, თუმცა მამამ ისევე შვილი გაამტყუნა, უთხრა - „აღბათ ლაპარაკი და გასაქონლება უნდოდა შენთან, რა ამბავი ატეხე?!“

ჩინარას მამის ყველაზე მეტად ეშინოდა, მასთან ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ზუსტად იცოდა, რომ მისი ნებისმიერი სახის პროტესტი უშედეგოდ დასრულდებოდა. ოჯახის წევრებისგან მას დახმარების იმედი არ ჰქონდა.

ჩინარას მხარდამჭერი მისი მასწავლებელი აღმოჩნდა, რომელმაც გოგოს მოუსმინა, დახმარებას დაპირდა და პოლიციას მიმართა.

გამოძიება დაიწყო, თუმცა პოლიციასთან გასაუბრებისას ჩინარამ ყველაფერი უარყო, შეეშინდა და სიმართლის თქმა ვერ გაბედა. მოიტყუა, რომ დანიშნული არ იყო.

რადგან საქმეში პოლიცია ჩაერია, ოჯახმა ქორწილი რამდენიმე წლით გადადო - მამა დაპირდა, რომ სრულწლოვანებამდე არ „გაათხოვებდა“, თუმცა გოგო მაინც დანიშნულად ითვლებოდა.

„ამის შემდეგ დაიწყო ჩემთვის ყველაზე რთული პერიოდი“ - ამბობს ჩინარა. ოჯახი კვლავ განაგრძობდა მასზე ზეწოლას და პროტესტის დროს მამა ყოველთვის უმეორებდა - „თუ შენ არ დაქორწინდები, სოფელში იტყვიან, რომ ჩინარა და მამამისი ცუდი ადამიანები არიან.“ ერთხელ ჩინარამ თავის მოკვლაც სცადა, რის გამოც საავადმყოფოში მოხვდა, თუმცა მამის პოზიცია უცვლელი იყო - რაც არ უნდა მოხდეს, მაინც გაჰყვები იმ ბიჭს ცოლად.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ჩინარა 17 წლის არ გახდა. ამ პერიოდიდან გოგოს დაქორწინების პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა.

ქორწილი 2018 წლის 8 სექტემბერს დანიშნეს.

ოჯახებმა ქორწილისთვის მზადება დაიწყეს. სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრებს ეპატიჟებოდნენ, მოსაწვევ ბარათებს ამზადებდნენ და სუფრის მენიუს ადგენდნენ.

ქორწილი ძვირი ჯდება, ამიტომ ჩინარას მამამ დიდი სესხი აიღო წვეულების გადასახდელად. „არადა, ჩემი სწავლისთვის ფული არ ჰქონდათ, თუმცა ქორწილისთვის გამოინახა“ - ამბობს ჩინარა, რომელსაც მამა ეუბნებოდა, რომ არ ჰქონდა ფინანსური შესაძლებლობა, რათა მისთვის განათლების მიღებაში შეეწყობოდა ხელი.

„არავის არ უკითხავს, ქორწილის წინ რატომ ვტიროდი“ - ამბობს ჩინარა, რომელიც ქორწილის სამზადისში იყო ჩართული. საქმროს ოჯახმა ჩინარა ოთახის ავეჯის საყიდლად წაიყვანა. გოგომ ყველაზე ძვირად ღირებული ნივთები შეარჩია - უნდოდა, ამით სამაგიერო გადაეხადა მათთვის.

ქორწილამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როდესაც ჩინარამ მეჩეთში გაცნობილ ჟურნალისტს მისწერა და უთხრა, რომ ოჯახი იძულებით „ათხოვებდა.“ მან დასახმარებლად სახალხო დამცველის აპარატს მიმართა,

საიდანაც ჩინარას დაურეკეს. ამ გზით, მისი საქმე პოლიციამდე მივიდა.

გოგო მშობლებთან ერთად პოლიციაში დაიბარეს. გამოძიება დაიწყო. ამჯერად ჩინარამ ყველაფერი მოუყვა სამართალდამცველებს, რის შემდეგაც გოგო თავშესაფარში გადაიყვანეს. პოლიციასთან შეკრებილი იყო ადგილობრივი მოსახლეობა, ჩინარას მშობლები და მისი საქმრო, ამიტომ ჩინარა სამართალდამცველებმა პოლიციის შენობის უკანა კარიდან გაიყვანეს. გამოძიების დაწყებიდან მალევე კი მამა დააკავეს, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ სცნო და ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ახლა ჩინარას ჰქონდა შესაძლებლობა, თავად განესაზღვრა თავისი მომავალი. თუმცა, ჩინარას ყველა სახლში დაბრუნებას ურჩევდა. დის ქმარი ჰპირდებოდა, რომ სწავლაში ხელს შეუწყობდა და იძულებით აღარ „გაათხოვებდნენ.“ ჩინარა ფიქრობდა სახლში დაბრუნებაზე, მაგრამ გააცნობიერა, რომ უფრო მეტის გაკეთება სურდა ცხოვრებაში. „მივხვდი, რომ დაბრუნების შემთხვევაში ქორწილი და დედაჩემის მსგავსად შევიღების გზაზე უნდა ვყოფილიყავი დამოკიდებული“ - ამბობს იგი და მაღლიერია იმ ადამიანების, რომლებიც მის თავშესაფარში დარჩენას უჭერდნენ მხარს.

„ეს ცხოვრება მირჩვენია, ეს არის ჩემი ბედნიერება.“

ჩინარა უკვე სხვა გოგოებს აძლიერებს, რომ არ შეშინდნენ და ილაპარაკონ თავიანთ უფლებებზე. ახლა უკვე ცდილობს, რომ ოჯახსა და თანასოფლელებს დაეხმაროს და აუხსნას, რომ შევიღებს მოუსმინონ და მათ ბედნიერებასა და განათლებაზე იზრუნონ.

„არ ვიცოდი, თუ ამდენი რამე არსებობდა ჩემს მდგომარეობაში მყოფი გოგოების დასახმარებლად“, - ამბობს ჩინარა.

შემთხვევიდან სამი წელი გავიდა. ჩინარამ სკოლა დაამთავრა. იგი აქტიურადაა ჩართული ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიებსა და საინფორმაციო შეხვედრებში. უნდა, რომ თავისი გამოცდილება ყველას გაუზიაროს და გაამხნევოს, რათა სხვებმაც შეძლონ თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვება. ჩინარა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თავისი ამბავი საჯაროდ მოჰყვა და კვლავ აძლევს სხვა გოგოებს ბრძოლისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის მაგალითს.

ავტორის შესახებ

გოგა ხატიაშვილი არის იურისტი და ექსპერტი ადამიანის უფლებებში. იგი ფლობს სამართლის მაგისტრის ხარისხს.

გოგა ხატიაშვილმა კარიერა დაიწყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, სადაც სამი წელი იმუშავა, როგორც სისხლის სამართლის ანალიტიკოსმა. შემდეგ მუშაობა გააგრძელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორად და შემდეგ - ამავე დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსად. სამინისტროში დაახლოებით სამწლიანი მუშაობის განმავლობაში პირადადად იყო ჩართული არაერთ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობისა თუ ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეში და კოორდინაციას უწევდა როგორც ეფექტიანი გამოძიების წარმოებას, ისე მსხვერპლთა გადამისამართებას შესაბამის სერვისებში. შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი მუშაობის განმავლობაში შემუშავდა და დაინერგა სხვადასხვა მექანიზმი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით. ასევე, სამართალდამცავებისთვის მომზადდა რეკომენდაციები და ინსტრუქციები, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის.

გოგა ხატიაშვილი ატარებს პროფესიულ ტრენინგებს პოლიციელების, პროკურორებისა და სხვადასხვა პროფესიული ჯგუფებისთვის ოჯახში ძალადობისა და სქესობრივი დანაშაულის საკითხებზე. აგრეთვე, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. მას ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის განხრით.

გოგა ხატიაშვილი არის არაერთი კვლევის, სასამართლო მონიტორინგის ანგარიშის, მონოგრაფიისა თუ სტატიის ავტორი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. იგი აქტიურად მონაწილეობს საინფორმაციო კამპანიებსა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში, რა მიზნითაც ხვდება მოსახლეობას და ესაუბრება მათ

ბავშვობის ასაკში ქორწინების ფენომენის, მისი უარყოფითი შედეგებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

ჩინარასთან მუშაობის გამოცდილების შესახებ

ეს არის 21-ე საუკუნის ისტორია გოგოზე, რომელიც გადაურჩა იძულებით ქორწინებას.

როდესაც ეს ამბავი მოხდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი. 2018 წლის აგვისტოს ბოლოს, სახალხო დამცველის აპარატისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ 17 წლის ჩინარა კოჯაევას მამა აიძულებდა „გათხოვებას“ მისთვის არასასურველ პირზე. წერილში ასევე ეწერა, რომ ქორწილი რამდენიმე დღეში იყო დანიშნული. ინფორმაციის გადამოწმებისას გაირკვა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი ჰქონდა 2016 წელსაც, თუმცა მაშინ ქორწილი ვერ შედგა. დრო ძალიან ცოტა გვექონდა. მივხვდით, რომ შესაძლოა ჩვეულებრივი, არსებული პრაქტიკული პროცედურები არ ყოფილიყო საკმარისი, ამიტომ მე და ჩემმა კოლეგებმა გადავწყვიტეთ, თეთრინყაროში ჩავსულიყავით და პირადად გვენახა ბავშვი.

დავუკავშირდით ჩინარას მასწავლებელს, რომელსაც გოგომ პირველად სთხოვა დახმარება და მისი მეშვეობით ბავშვთან კონტაქტზე გასვლა შევძელით.

მეორე დღესვე ჩემს თანამშრომლებთან ერთად თეთრინყაროში გავემგზავრეთ. ძალიან ბევრს ვმსჯელობდით იმაზე, თუ როგორ უნდა დაგვემყარებინა გოგოსთან კომუნიკაცია ისე, რომ მისი ნდობა მოგვეპოვებინა. თან აუცილებლად უნდა გავგეთვალისწინებინა ის სირთულეები, რაც ამ საქმეს ჰქონდა. ჩინარა და მისი მშობლები პოლიციის შენობაში გველოდებოდნენ. მათ ვთხოვეთ, ოთახიდან გასულიყვნენ, რადგან ცალკე გვინდოდა გოგოსთან გასაუბრება.

ლაპარაკისას ჩინარას შევატყვევეთ, რომ საკმაოდ დაბნეული იყო, თუმცა ამკარად ეტყობოდა, რომ მშობლები რალაცის გაკეთებას აიძულებდნენ და სჭირდებოდა ადამიანები, რომლებიც მას დაეხმარებოდნენ. გოგომ დაადასტურა, რომ მამა ქორწინებას აიძულებდა. მან ასევე გაიხსენა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი ჰქონდა 2016 წელსაც, თუმცა მაშინ მამა დაპირდა, რომ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე აღარ „გათხოვებდა“ თუმცა,

შემდგომ არ შეასრულა დანაპირები და 2018 წელსაც სცადა, ქალიშვილი დაექორწინებინა მასზე უფროსი ასაკის ბიჭზე. გოგომ ისიც აღნიშნა, რომ მამა „ათხოვებდა“ იმ ბიჭზე, რომელიც მხოლოდ რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი და არ უყვარდა.

არასრულწლოვნის გამოკითხვის პარალელურად, პოლიციის სამმართველოს წინ იკრიბებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. იქ იყო ჩინარას მომავალი ქმარიც, რომელიც აკვირდებოდა პროცესებს. ვერავინ აცნობიერებდა იმას, თუ რატომ ერეოდა პოლიცია მათ ცხოვრებაში. რამდენჯერმე ჩინარას დედამ სცადა პოლიციის შენობაში შემოსვლა და ითხოვდა შვილის ნახვას. დედის

ყვირილის ხმაზე გოგო შენუხდა, დაიბნა და შეეშინდა, რომ მას რამე არ მოსვლოდა. მაშინ ნათლად გამოჩნდა, რომ მშობლებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების აზრი, თუ რას იფიქრებდა ხალხი მათ ოჯახზე, ვიდრე საკუთარი შვილის სურვილები და კეთილდღეობა.

ამასობაში მოსალამოვდა კიდეც. ჩინარას დედა არ წყვეტდა პოლიციაში შემოჭრის მცდელობებს და ითხოვდა შვილის ნახვას. თუმცა, არსებობდა რისკი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთს



შეხვდებოდნენ, ჩინარა გადაიფიქრებდა მამის წინააღმდეგ ჩვენების მიცემასა და თავშესაფარში გადასვლას, ამიტომ გადაწყდა, რომ გოგო პოლიციის შენობის უკანა კარიდან უნდა გაგვეყვანა.

საგამოძიებო პროცედურების დასრულების შემდეგ, მამის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის საფუძველზე, გოგო თავშესაფარში წავიყვანეთ.

ამის შემდეგ დაიწყო მეორე მნიშვნელოვანი და ყველაზე რთული ეტაპი. არასრულწლოვანს ეშინოდა და არ იცოდა, რამდენად სწორი გადანიშნულება მიიღო. რამდენჯერმე სახლში წასვლაც დააპირა, თუმცა ბოლოს ყოველთვის იკრებდა ხოლმე ძალას და ოჯახში დაბრუნებაზე უარს ამბობდა. ნათესავებისა და ოჯახის წევრების არაერთი მცდელობის მიუხედავად, გოგო ვერ გადაიბირეს. მას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადანიშნულებილი, რომ სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო.

ჩინარას მამა სასამართლომ დამნაშავედ სცნო და სასჯელად თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ორი წლის ვადით ქალიშვილის მიმართ ჩადენილი ქორწინების იძულების ფაქტზე.

რაც მთავარია, არასასურველი ქორწილი აღარ შედგა.

ჩინარა კოჯაევას საქმე იყო საკმაოდ კომპლექსური, რამაც ნათლად დაგვანახა იმ სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ნორმების გავლენა, რაც ბავშვობის ასაკში ქორწინებას უწყობს ხელს. ჩინარამ თავის დასაცავად გამოიყენა ყველაზე ძლიერი იარაღი - ეს იყო ლაპარაკი. მან ძალიან დიდი გამბედაობა გამოიჩინა და გახდა ერთ-ერთი პირველი გოგო, რომელიც საკუთარ ოჯახსა და თემს დაუპირისპირდა. ამით მან მაგალითი მისცა ძალიან ბევრ ახალგაზრდა ქალს, რის შემდგომაც ბევრი გოგო ალაპარაკდა იძულებით და ადრეულ ქორწინებაზე.


Equality Now-ს შესახებ


ორგანიზაცია Equality Now („თანასწორობა დღეს“) არის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1992 წელს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს ქალების და გოგოების უფლებების დასაცავად. ორგანიზაციის ოთხი ძირითადი მიმართულებაა: კანონის წინაშე თანასწორობა, სექსუალური ძალადობა, მავნე პრაქტიკები და ტრეფიკინგი. ყველა მიმართულებაში განსაკუთრებული ყურადღება არასრულწლოვანი გოგოების განსაკუთრებულ საჭიროებებს ეთმობა.


Equality Now აერთიანებს ადგილობრივ აქტივიზმსა და სამართლებრივ ადვოკატირებას საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე. მისი მიზანია სამართლებრივი და სისტემური ცვლილების მიღწევა ყველა ქალისა და გოგოსთვის და სახელმწიფოების მიერ კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა მათი უფლებების დასაცავად.


Equality Now-ს, როგორც გლობალურ ორგანიზაციას, აქვს ოფისები ამერიკაში (ნიუ იორკი), აფრიკაში (ნაირობი), ევროპაში (ლონდონი) და შუა აღმოსავლეთში (ბეირუთი). მას, ასევე, ჰყავს წარმომადგენლები ამაში (იორდანია), ნიუ-დელიში (ინდოეთი), თბილისში (საქართველო) და წევრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.


მეტი ინფორმაციისთვის:

 equalitynow.org

 [@equalitynoworg](https://www.facebook.com/equalitynoworg)

 [@equalitynoworg](https://www.instagram.com/equalitynoworg)

 [@equalitynow](https://www.linkedin.com/company/equalitynow)

 [@equalitynow](https://twitter.com/equalitynow)

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

თბილისი: უზნაძის ქ. 101

ტელ: (0 32) 2995076

ელ ფოსტა: legalaid@gyla.ge

ვებ გვერდი: www.gyla.ge

კავშირი „საფარი“

თბილისი: აკაკი გაბოკიძის ქუჩა 11ა

ტელ: 032 230 76 03

ელ ფოსტა: unionsapari@gmail.com

ვებ გვერდი: www.sapari.ge

უფლებები საქართველო (ყოფილი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“)

თბილისი: აკაკი გაბოკიძის ქუჩა 11ა

ტელ: 2998856

ელ ფოსტა: office@rights.ge

ვებ გვერდი: www.rights.ge

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი: ა. გაბოკიძის ქუჩა 11ა (ყოფილი გაგარინის 2 ჩიხი), III სართული

ტელ: (+995 32) 2 38 46 48

ელ ფოსტა: hridc@hridc.org

ვებ გვერდი: <http://www.hridc.org/?lang=ge>

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

თბილისი: ალექსიძის 1, კორპუსი №2, ბინა-26

ტელ: 032 233 13 56

ელ ფოსტა: info@phr.ge

ვებ გვერდი: www.phr.ge

თუ თქვენ, ან სხვა ვინმე, ვისაც იცნობთ, გახდით ბავშვობის ასაკში ქორწინების, ქორწინების იძულების, მოტაცების ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ თქვენი დახმარება.

თუ საფრთხეში ხართ, დარეკეთ **112-ზე** და გამოიძახეთ პოლიცია (სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი“)

SAFE YOU - აპლიკაცია ქალების და გოგონების ძალადობისგან დასაცავად. ვირტუალური უსაფრთხო სივრცე ქალებისთვის. ჩამოტვირთეთ მობილურ ტელეფონში:

Android: <https://bit.ly/318nSsl>

IOS: <https://apple.co/2Z7s3Cq>



ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო **24-საათიანი** უფასო ცხელი ხაზი - **116 006** კონსულტირება ხდება **8** ენაზე (ქართულ, ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე);

ბავშვთა უფლებების უფასო „ცხელი ხაზისთვის“ დარეკეთ **111-ზე**, რომელიც, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ახორციელებს ინდივიდუალური და სიტუაციური რისკების გამოვლენას, შეფასებას, რეაგირებასა და მონიტორინგს, სამუშაო დღეებში **10:00-19:00** საათამდე;

სახალხო დამცველის აპარატის „ცხელი ხაზია“ **14 81**.